



# ახალი ტანათლები

2013 წელი, 30 მაისი - 5 ივნისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№21 (615) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## რისთვის სჭირდებათ წიგნები ბავშვებს



ნინო ჭანკვეტაძის ნახატი

„უცნაურია, მაგრამ ამ სადღესასწაულო მომენტის დადგომას ჩემი ბავშვობისდროინდელ მანანალებს უნდა ვუმაღლოდე; მანანალებს, რომლებიც საღამოობით კარზე გვიკაკუნებდნენ და გვეკითხებოდნენ:“

– შეიძლება თქვენს ბოსელში ღამის გათევა? ბავშვები სამზარეულოში ვისხედით და დაწყებული თვლებით შევეყურებდით ამ უცნაურ ხალხს – მანანალებში რაღაც ზღაპრულს ვხედავდით. განსაკუთრებით საინტერესოდ და უცნაურად ის გვეჩვენებოდა, რომ ქვეყნიერებაზე არის ხალხი, რომელსაც არა აქვს სახლი და სოფლის შარავზეზე დაეხეტება. ჩვენ გლეხის შვილები ვიყავით და ამის გაგება არ შეგვეძლო. ბევრი მანანალა მეგობრული, მოლაყებ და კეთილი იყო, ზუსტად ისეთი, როგორც ოსკარია ჩემი წიგნიდან. ისინი ათას რამეს ყვებოდნენ და ძალიან მომწონდნენ.

როდესაც ჩემი ბავშვობის წლებს ვიხსენებ, მგონია, რომ მას შემდეგ ასმა წელიწადმა მაინც განვლო, ისე შეიცვალა სამყარო. მე დაბადება მოვახერხე სწორედ იმ საუკუნის ბოლოს, რომელსაც „ცხენების საუკუნეს“ ეძახიან. ათეული წლებით გვიან რომ გავჩენილიყავი, ვერასოდეს დავნერდი ამ წიგნს, ვერაფერს შევეტყობდი იმ ისტორიამდელ ეპოქაზე, როდესაც შარავზეზე მანანალები დაეხეტებოდნენ და ხალხი მანქანებით კი არა, ცხენებზემდელი ოთხთვლებით დადიოდა.

რა სჯობდა ბავშვისთვის „ცხენების საუკუნეში“ ცხოვრებას; ყოველ შემთხვევაში, ჩემი ბავშვობა შეიძლება ბედნიერად ჩაითვალოს. როდესაც „მანანალა რასმუსს“ ვწერდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დაკარგულ სამოთხეში დავბრუნდი. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ეს ქვეყანა სამოთხე იყო მანანალა ოსკარისთვისაც, ანდა ობოლი რასმუსისთვის. ეს ჩემთვის იყო სამოთხე.

მშვენიერია ხელმეორედ დაბრუნება სამოთხეში, როდესაც წიგნს წერ; მშვენიერია, როდესაც ისევ ბავშვად გადაიქცევი.

ფიქრობ, ასე უნდა იყოს ყველა, ვინც ბავშვებისთვის წერს. არ შეიძლება, მხოლოდ დაჯდომა და რაღაც ისტორიების შეთხზვა. საკუთარ ბავშვობაში უნდა ჩაყურყუმე-ლაღვე, გაიხსენო მაშინდელი გარემომცველი სამყარო და მისი სურნელი, გაიხსენო, როგორ გაცემევენდნენ და როგორ გრძნობდი თავს ამ ტანსაცმელში გამოწყობილი, რაზე გე-

ციებოდა და რაზე ტიროდი.  
– „უფროსებისთვის“ თუ შეგიძლიათ წიგნის დანერა? – მეკითხებიან ხოლმე.

ასე მეკითხებიან, გულში კი ფიქრობენ: მაგან უკვე იმდენი საბავშვო წიგნი დანერა, დროა, რაიმე უფრო ღირებულს მოჰკიდოს ხელი. არა! მე არ მინდა „უფროსებისთვის“ წერა! მე მინდა ვწერო ისეთი მკითხველებისათვის, რომელთაც სასწაულების მოხდენა შეუძლიათ. სასწაულებს კი მაშინ ახდენენ ბავშვები, როდესაც წიგნებს კითხულობენ. ისინი ახალისებენ უფერულ აზრებს, სიტყვებს და ბრწყინვალეებს მატებენ ჩვენს ნაწარმოებებს. მწერალს არ შეუძლია მარტომ შექმნას მთელი ის იდეალება, რასაც წიგნი იტევს. მას მკითხველები ეხმარებიან, მაგრამ „უფროსების“ მწერალს ამ საქმეში არ ჰყავს ისეთი შესანიშნავი დამხმარეები, როგორც ჩვენ. მისი მკითხველები არ ახდენენ სასწაულებს. მხოლოდ ბავშვის ფანტაზიას ძალუძს ზღაპრული ციხე-დარბაზების აგება. ბავშვის ფანტაზია სჭირდება წიგნს, მაგრამ უფრო მეტად სჭირდება იმ წიგნს, რომელიც მას ცხოვრებაში და გაზრდაში ეხმარება.

წიგნს ვერაფრით შეცვლი. წიგნი ფრთებს ასხამს ფანტაზიას. თანამედროვე ბავშვები უყურებენ კინოფილმებს, ტელევიზორს, უსმენენ რადიოს, კითხულობენ ილუსტრირებულ ჟურნალებს – კი, ეს ყველაფერი შეიძლება საინტერესოა, მაგრამ არაფერი აქვს საერთო ფანტაზიასთან. წიგნთან პირისპირ დარჩენილი ბავშვი კი, თავისი უმანკო სულის სიღრმეში ქმნის საკუთარ ნათელ, წარუშლელ სახეებს.

ბავშვური ფანტაზია დაუშრეტელია, მის გარეშე კაცობრიობა გალატაკდებოდა. ყველაფერი დიდებული, რაც კი ოდესმე სამყაროში აღსრულებულია, თავდაპირველად ადამიანის წარმოსახვაში დაბადებულია. ხვალისდელი სამყაროს ბედი ბევრადაა დამოკიდებული დღევანდელ პატარებზე, მათზე, ვინც სწორედ ახლა სწავლობს კითხვას.

აი, ამისთვის სჭირდებათ ბავშვებს წიგნები.“

ასტრიდ ლინდგრენის სიტყვა წარმოთქმული ჰანს ქრისტიან ანდერსენის საერთაშორისო ოქროს მედლის გადაცემისას

### მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის

<p>გიგანტური ბიჭი</p> <p>8 ლარი</p>	<p>ტელეგრაფი</p> <p>4 ლარი</p>	<p>ქართული ენა და ლიტერატურა</p> <p>4,5 ლარი</p>	<p>ფიზიკა</p> <p>12 ლარი</p>	<p>გეოლოგია</p> <p>5,5 ლარი</p>	<p>ქიმია</p> <p>7,5 ლარი</p>	<p>ფიზიკა</p> <p>6,5 ლარი</p>
-------------------------------------	--------------------------------	--	------------------------------	---------------------------------	------------------------------	-------------------------------

<p>ტელეგრაფი</p> <p>პარტულ ლიტერატურა</p> <p>საბავშვო გამოცდისათვის</p> <p>ფ0368 I</p>	<p>ტელეგრაფი</p> <p>პარტულ ლიტერატურა</p> <p>საბავშვო გამოცდისათვის</p> <p>ფ0368 II</p>	<p>ტელეგრაფი</p> <p>პარტულ ლიტერატურა</p> <p>საბავშვო გამოცდისათვის</p> <p>ფ0368 III</p>
--	---	--

წიგნი I – **ქველი ქართული მწერლობა;**  
 წიგნი II – **„ვეფხისტყაოსანი“;**  
 წიგნი III – **XIX საუკუნის მწერლობა.**

ავტორები:  
 თამარ გალიტაშვილი,  
 ამირან გომარტელი


თითოეული კრებულის ფასი – **10** ლარი

- ◆ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდო დათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაგიადვილებათ საპრობლემატიკური ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქლივთ ყველა საგამოცდო სირთულე.





# საქართველოს სკოლის, ბავშვთა სახლის და ბაბა-ბაღის ფსიქოლოგთა, ექიმთა და ექთანთა ასოციაცია „წერბის“



## პროექტი – ლიბრეტოების კრებული ქართულ ენაზე, თბილისის ვერდის საერთაშორისო ფესტივალში, „ვერდიანა -200“, „ვერდიტი“, „ჟიზელი“

უბრუნდებით, მკითხველს წარვუდგინებ ანგარიშს საქართველოს სკოლის, ბავშვთა სახლის და ბაბა-ბაღის ფსიქოლოგთა, ექიმთა და ექთანთა ასოციაცია „წერბის“ მიერ განხორციელებული მუშაობის შესახებ:

❖ 2010-11 სასწავლო წელს „ახალი განათლების“ ფურცლებიდან გამოცხადდა მოსწავლეთა შემოქმედებითი კონკურსი „საუკეთესო ნამუშევარი მოხუცისა და მოხუცებულობის თემაზე“. უიურის ნევრები: **ზაალ სულაკაური, ლევან ყუფარაძე, გურამ ნიბახაშვილი, კახა ცაბაძე**; უიურის თავმჯდომარე – **ლეილა ქიტოშვილი-სახლთსუციშვილი**. უღრმეს მადლობას ვუხდით მათ განუხლებლად შრომისათვის.

ფოტოხელოვნებაში – **ლამარა ყაჭვიშვილი, ილიკო მიქაძე**; სახვით ხელოვნებაში: თბილისის ო. თავთაქიშვილის სახელობის ხელოვნების №19 სკოლის მოსწავლეები: **ნიკა გოგიჩაშვილი, დათო თევზაძე, გიორგი თოდუა, საბა კერესელიძე, ანა კობახიძე, ზურო მურადოვი, ქეთი ჟორჯიანი, ელენე ქორიძე; ინდირა სურმანიძე** (ქობულეთი, ლელვა); **გვანცა გურგუჩიანი, მარიამ სილაგაძე, თინათინ სვანიძე, დარეჯან ჭაბუკიანი, ეკატერინე ჭაბუკიანი** (სოფელი ლასურიაში), **სანდრო პეტრიაშვილი** (თბილისი, სკოლა „ფეს-ვები“).

ნამუშევრებში უღრმესად იდეა – „ყველა დაგებდებით“, თანაგრძობისა და პატივისცემის მოტივები ხანდაზმულთა მიმართ. სამომავლოდ პროექტისათვის სისტემური სახის მიცემაც სწორედ ამ შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად.

❖ 2010 წლის ოქტომბერში „წერბის“ მიერ გარდაბნის რაიონის გამგეობაში წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, 2012 წელს დაწესდა სახალხო დღესასწაული „მარტყოფობა“ და „საპატრიოტო მარტყოფის“ ნოდება. მარტყოფობა პირველად 2012 წლის 7 აპრილს ჩატარდა.

❖ 2010 წელს ასოციაციამ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს „ბებია-პაპების დღისა“ და „ხანდაზმულთა კვირეულის“ დაფუძნების ინიციატივით;

❖ 2011 წელს – საქართველოში მოქმედ ყველა შემოქმედებითი კავშირის პროექტით – „ნამუშევარი ხანდაზმულთა თემაზე“.

❖ ამჟამად „წერბი“ აარსებს მოხუცთა სახლის ექიმთა კავშირს „ხელი ნიფელი“, რომლის მუშაობის სფერო გერიატრია-გერონტოლოგია იქნება და ჩვენში ნაკლებად განვითარებულ სუბსპეციალობებს გაუწევს პოპულარიზაციას.

„წერბი“ ასევე თანამშრომლობს ჟურნალთან „საქართველოს ბიბლიოთეკა“.

❖ 2012 წლიდან ასოციაციის პროექტები მიმართულია მოზარდებში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციისაკენ. აღნიშნულს ფარგლებში, „წერბი“ გამოსცემს ლიბრეტოების კრებულს ქართულ ენაზე (დღემდე სრულყოფილი კრებული არ არსებობდა) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სთავაზობს საჯარო სკოლებში მუსიკის საგნის დამატებით სახელმძღვანელოდ (უახლოეს მომავალში გამოიცემა „ჟიზელი“, სამი ქართული ოპერა და ვერდის შემოქმედება).

❖ 2013 წლის 24 აპრილს ასოციაციამ მიმართა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტით: 2013 წლის 10 ოქტომბერს, ჯუზეპე ვერდის დაბადებიდან 200 წლისთავთან დაკავშირებით, თბილისის ვერდის საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნების შესახებ (სპექტაკლები, კონცერტები, კონფერენციები, კონკურსები, გამოფენები, ფილმების რეტროსპექტივა თბილისსა და რეგიონებში, ვერდი არაკლასიკური მუსიკაში). ფესტივალის, სათანადო რეკლამირებით, წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული კლასიკური მუსიკისადმი ფართო საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად.

ასოციაციამ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს მიმართა პროექტით – „ვერდიანა -200“ (საბალეტო სპექტაკლი ვერდის უვერტიურების საფუძველზე); ასევე – პროექტით „ვერდიტი“ (რეალური შოუ კლასიკური მუსიკაში).

„წერბმა“ თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრს მიმართა ინიციატივით ვერდის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის ამსახველი სპექტაკლის დადგმის შესახებ; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს კი სთავაზობს პროექტს „ჟიზელი“ (ფსიქიატრიული და ნევროლოგიური თემატიკა ლიტერატურასა და ხელოვნებაში – ინტერდისციპლინარული კვლევისა და სალექციო კურსის სახით).

ასოციაცია „წერბი“ სამომავლოდ არაერთი პროექტის განხორციელებას გეგმავს:

„ბიბლიოგრაფია დისკებად“ (სერია – ცნობილ ხელოვანთა იუბილეები და ხსოვნის საღამოები); „ტვირთი პოეტის ცოლის“ (სტატიების კრებული შემოქმედთა ოჯახების შესახებ); „მარგალიტები მუზეუმიდან“ (მუზეუმებისა და

სახლ-მუზეუმების შთაბეჭდილებათა წიგნიდან გამორჩეული ნააზრევის კრებულად გამოცემა); სერია – „სასაჩუქრე ფერწერა“; კრებული „ციხე-ტაძართა საგალობელი“ (ლექსების კრებული საქართველოს არქიტექტურული ძეგლების შესახებ). ყველა აღნიშნული პროექტი დეპონირებულია საქპატენტში.

### ამჟამად „წერბი“ აცხადებს სამ კონკურსს ხელოვნებისა და ლიტერატურის ყვილა დარბსა და ჟანრში:

1. **ჩემი საყვარელი ოპერა/ბალეტი** – 2013-14 სასწავლო წლის ბოლომდე;
2. **„საუკეთესო ნამუშევარი ვერდის შამოქმედებისა და ბიოგრაფიის ირგვლივ“** (2013 წლის ოქტომბრამდე);
3. **„ეკლინიკა გზით მარსკვლავებისაკენ“** (2013-14 წლის ბოლომდე) – ნამუშევარი იმ ადამიანთა ბიოგრაფიის ირგვლივ, ვინც ტანჯვით მიაღწია წარმატებას.

პროექტების მომზადებისას შევიძლიათ იხელმძღვანელოთ: **ქართული ბიოგრაფიული ცენტრის** მიერ გამოცემული ჯუზეპე ვერდის „ვერდი“; წიგნების სერია **„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“**.

I - II პროექტებისთვის სავარაუდო თემატიკა: თქვენთვის ყველაზე შთაბეჭდავი მუსიკა; თქვენი საყვარელი პერსონაჟი; ოპერებისა და ბალეტების თქვენური იდეურ-მხატვრული ანალიზი; ლიტერატურული პირველწყაროს ანალიზი; კავშირი – მწერლობა-მუსიკა; ცნობილი არიების თქვენური თარგმანი; ქართულ და მსოფლიო სცენებზე დადგმის ისტორიები; ცნობილი ქართველი შემსრულებლები; უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანები; სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივის მიერ დადგმული სპექტაკლების პერსონაჟების შედარებითი დახასიათება; თქვენი პირველი შეხვედრა კლასიკურ (ვერდის) მუსიკასთან; თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ნანახი სპექტაკლები; კლასიკური მუსიკისა და მუსიკოსების თემაზე შექმნილი ფილმების თქვენური ანალიზი; შთაბეჭდილება თეატრის მხატვრობაზე, მუსიკა სახვით ხელოვნებაში; კლასიკური მუსიკის (ვერდის) თქვენთვის ცნობილი ვარიაციები; თქვენი მუსიკის გაკვეთილები; მელომანები და კოლექციონერები თქვენ ირგვლივ; რა ხარისხით უსმენთ კლასიკური მუსიკისადმი მიძღვნილ ტელე და რადიო გადაცემებს ან ეცნობით წერილებს პრესაში; რა განსაზღვრავთ კლასიკურმა (ვერდის) მუსიკამ და როგორ გესმით კლასიკური მუსიკის დანიშნულება; თუ ეუფლებით რომელიმე ინსტრუმენტს.

### თამარ შოშიაშვილი ასოციაცია „წერბის“ პრეზიდენტი



ლეილა ქიტოშვილი, თამარ შოშიაშვილი

საქართველოს სკოლის, ბავშვთა სახლის და ბაბა-ბაღის ფსიქოლოგთა, ექიმთა და ექთანთა ასოციაცია „წერბი“

**ლიბრეტი**

მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური კონკურსში: „საუკეთესო ნამუშევარი მოხუცისა და მოხუცებულობის თემაზე“

**ჯილდოვდება**  
სახვით ხელოვნებაში

ოთარ თავთაქიშვილის სახელობის ხელოვნების №19 სკოლის მოსწავლე

**ნიკა გოგოჩაშვილი, 6 წლის**

**ჟიური:**  
ზაალ სულაკაური, ლევან ყუფარაძე, კახა ცაბაძე, გურამ ნიბახაშვილი, ასოციაცია „წერბის“ პრეზიდენტი: თამარ შოშიაშვილი

პროექტის ხაინფორმაციო მხარდაჭერა გახეთი „ახალი განათლება“

ახალი განათლება  
2010-11ლ.წ.

გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ დიპლომები და სიგელები. პროექტში გამორჩეული აქტიურობისათვის დაჯილდოვდნენ პედაგოგები: **თამარ ჯაბადარი** (საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი); **ნანა ვადაჭკორია** (თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლა); **ნათუნა ფაჩულია** (თბილისის ო. თავთაქიშვილის სახელობის მე-19 ხელოვნების სკოლა); **ნინო ლაკვეჩელიანი** (ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაში საჯარო სკოლა); **ანზორ სურმანიძე** (ქობულეთის რაიონის სოფელი ლელვა); **ლია მიქაძე** (ხაშურის რაიონის სოფელი ალი).

ლიტერატურული ნაშრომებისათვის I ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: **ანი ილაური, სალომე ლალიაშვილი, ნინო მეკოიშვილი, ანი ჭინჭარაძე** (საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურული სალონის წევრები); **ლამარა ყაჭვიშვილი** (ლესიჭინე).

II ხარისხის დიპლომებით – **ვაჟიკა აფრიაშვილი, თამარ ბუზარიაშვილი, ლეილა ბურჯანაძე, სალომე ბურჯანაძე, ანი მოსიაშვილი, ნათია სასწრაფოშვილი, რუსუდან ჩუნიშვილი, ნინო ჯოხაძე** (საგარეჯო); **ანი ბარკალაია** (აბაშა); **თინათინ სვანიძე** (ლასურიაში).

სიგელებით – **ილიკო მიქაძე** (ალი); **ინდირა სურმანიძე** (ლელვა); **მონიკა გასვიანი** (ლასურიაში); **ნათია გრატიაშვილი, დალი თუშიშვილი, ნატო კვერავილი, ქეთევან ოკინაშვილი, ლანა როჭიკაშვილი, ნინო სულიკაშვილი, მარიამ ქურხული, თამარ ხატიაშვილი** (საგარეჯოს რაიონი); ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციისათვის „ბებები და შვილიშვილები“ დაჯილდოვდნენ თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის III კლასის მოსწავლეები;

## მასალა მიღწეული მითითებულ ვალებში

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 0790-223-678, 599-442-519

tamarsh.nergi@gmail.com

ბარდახნის რაიონის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლა



# შავი ზღვის სართავოროსო უნივერსიტეტი

## ასხალეზს ვაკანსიას შემღებ კოზისიეზზე

### ჟურნალისტიკის მიმართულეპით:

- ◆ ასისტანტ-პროფესორი - 1 ვაკანსია
- ◆ ასოცირაბული პროფესორი - 2 ვაკანსია

### საკვალეფიკაციო მოთხოვნეპი:

#### 1. ასისტანტ-პროფესორი

დოქტორანტი ან დოქტორის ხარისხი

#### 2. ასოცირაბული პროფესორი

- ა. დოქტორის ხარისხი;
- ბ. შესაბამისი მიმართულეპით სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაოპის, მიწიეპი, სამწლიანი გამოცდილეპა.

### პიროვნული თვისეპეპი:

- ◆ კლიერი ანალიტიკური და შემოქმედეპითი უნარეპი
- ◆ ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა (სასურველია ინგლისური და სხვა უცხო ენეპის ცოდნა)
- ◆ კარგი პედეგოგიური უნარ-ჩვეეპი
- ◆ შესაბამის სვაროპი პრაქტიკული გამოცდილეპა
- ◆ პასუხისმგებლოგის მაღალი გრძნობა
- ◆ კლიერი კომუნიკაციის უნარი
- ◆ კლიერი თვითმომტივირეპისა და თვითდისციპლინის უნარი

- ◆ სტუდეტეპის, კოლეგეპისა და უნივერსიტეტის ერთგულეპა
- ◆ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაოპის უნარი

### საკვალეფო საბუთეპის წესხა:

- ◆ პირადლოგის მოწმეპის ასლი
- ◆ პასპორტის 2 ფოტო
- ◆ რეზიუმე CV (სასურველია ქართულად და ინგლისურად) როგორც ელექტრონული, ასევე ნაბეჭდი ვერსია
- ◆ დიპლომეპისა და შესაბამისი სერტიფიკატეპის ასლეპი (დიპლომის ასლი ნოტარიულად დამოწმეპული)
- ◆ კონფირმაციეპისა და ტრენინგეპი მოწმეპის დამადასტურეპელი სერტიფიკატეპი (ასეთეპის არსებოგის შემთხვეეპი)
- ◆ სამეცნიერო ნაშრომეპის სია თანდართული ასლეპით
- ◆ შესაბამისი კურსის/კურსეპის სილაბუსეპი (ქართულ და ინგლისურ ენაზე)
- ◆ ცნობა აბჟამინდელი ან ყოფილი სამსახურიდან
- ◆ შრომის წიგნაპი (არსებოგის შემთხვეეპი)

## დინტირენეპულეპა კანდიდატეპეპა საბუთეპი უნდა წარმოადგინოწ

2013 წლის 3 ივლისიდან 2013 წლის 18 ივლისის 17:00 საათამდე (10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე)

შავი ზღვის სართავოროსო უნივერსიტეტის კანცელარიეპი.

საკონტაქტო პირი - გოღარქი გუჩაშვილი

დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ № 2

www.ibsu.edu.ge contact@ibsu.edu.ge 2 59 50 05 (128)

### მონსაველი შემოქეპი

## გთავაზოგთ მეექვსე საავტორო სკოლასთან არსებული გურამ რამიგვილის სახელოგის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტ-ლაბორატორიის მე-2 კონფირმაციის თემეზს, ხელმეღვანელი - რუსუდან მეგრელიგვილი

# „მღვრიემღე გეგვიმარჯვეს“ გოღარქი როხელის „მოხევის საღღებრქელოს“ მიხედვით

მწერალი, სცენარისტი და კინორეჟისორი გოდერძი ჩოხელი ისეთი შემოქმედეპა, რომლის ნაწარმოეპები და ფილმეპი ხნეობის, ადამიანობის, სიკეთისა და მშვენიერეპის ნიმუშს წარმოადგენს.

როგორც თავად იხსენებდა, თეატრალური ინსტიტუტში გამოცდეზე რუსული ფილმი უნდა გავრჩიო. მან კი რუსული არ იცოდა, ცარიელი ფურცლების ჩაბარეპის შერცხვა და ლექსი დაწერა ირემზე, რომელიც ბარში ჩამოვიდა და დაჭრეს, არნივი და შვლის ნუკრიც შეურიო, ყველა მათგანში კი, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი იგულისხმა. სწორედ ამ ლექსმა გადამწყვიტა მისი ბედი. ქალაქში უმაღ გავრცელდა ამბავი, რომ მთიდან პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და გამოცდეზე ფილმის გარჩევეს ლექსად წერსო. თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა უთხრა: მიგიღებო, ოღონდ ქალაქმა არ გავაფუჭოსო. ქალაქმა ვერ გააფუჭა გოდერძი ჩოხელი. მის მოთხრობეპში, ლექსეპსა თუ ფილმეპეპში ბოლომდე შემორჩა სამშობლოს, ბუნეპის, ადამიანის სიყვარული.

გოდერძი ჩოხელს ჰქონდა სრულიად განსხვავებული ხელწერა. ის ძალიან სიღრმისეულად, ტკივილიანად ხედედე ადამიანს და სწორედ ამ ხედედე ჩამოყალიბა მისი შემოქმედეპა. მთის წყაროსავით ანკარა სულისა და უბოროტო გულის კაცი ერთ-ერთი წიგნის ანოტაციეპში წერს: „გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ყველანი მოთხრობეპი ვართ, დადედევართ და ერთურთს ვკითხულობო. ზოგი ცუდი მოთხრობა ვართ, ზოგი კარგი, ზოგი მოწყენილი, ზოგიც იმედით სავსე... მოსიარულე ცოცხალ მოთხრობეპზე ვწერ, იმათი სულის ბინდისფერი ხეობიდან გამომაქვს სიკეთე და მომავლის ნათელში ვფენ“. ერთ-ერთი ასეთი „მოწყენილი“, ამავდროულად „იმედით სავსე“ მოთხრობაა „მოხევის საღღებრქელი“.

„ბაღღეპი სუფთა იბადეპიან, ადამიანეპს მერე გვემღერევა სული. თანდათან ცოდედეპით მღვრიე ცხოვრეპებს ვუერთდეპით და

იმად,“ - ამბობს მოხევე და მოთხრობის მთავარ სათქმელს ამ სიტყვეებში აქსოვს. ორიგინალური საღღებრქელოს მთქმელი პარალელს ავლებს სუფთა, კრიალა წყალსა და ახლად დაბადებულ ჩვილს შორის. როგორც წყალი კარგავს სინწინდეს და მღვრიე თერგში ითქვიფეპა, ისე გარდაიქმნეპა უცოდველი ცოდვილად. ამის შემოქმედეპი კი ადამიანის ბუნეპა და ხასიათი, რისი მორჩილიც, ნებით თუ უნებლიედ, თავად ადამიანი და ხშირად მექანიკურადაც კი ცხოვრეპის მძიმე მარწუხეპში ექცეეპა.

სიმბოლური დატვირთვა აქვს მოთხრობაში მოხევის გარეგნობას. რატომღაც ყველას ეგონა, რომ მაღალი მთეპის შვილი ხევის მთეპიგით მხარბეტიანი იქნებოდა. მაგრამ გამხდარი და ჩიო ტანის კაცი სიბეჩავის შთაბეჭდილეპას არ ტოვებდა. „პირიქით, ამ ხალხში იგი გამოირჩეოდა კიდეც თავისი დგომით, მშერით, რომელიც მისი მკვირცხლი თვალეპიდან გამოკრთოდა, და დაძარღვეული სხეულით. იგი ღვედევიტ მოქნილი ჩანდა და სასმისის მოლოდინში მთის ფოცხვერივით იყო გაყურსული“, - წერს ავტორი.

როგორც გოდერძი ჩოხელის თითქმის ყველა გმირს, მოხევესაც - „ძრიალ უყორს“ თავისი სამშობლო, მაგრამ კაცურ სისუსტეზე - ჯიხვებზე ნადირობას გვერდს ვერ უვლის. მოთხრობის ამ მონაკვეთში კაცთა მოდგმის ერთ „დანაშაულზე“, ხელოვნურად შექმნილ კონტროლის მექანიზმზე - „კაკეპეზეცაა“ რამდენიმე სიტყევა. გარეშე, თითქოს ფხიზელი თვალი, აკონტროლეპს, მაგრამ მაინც ვერ აკონტროლეპს მთის კაცის დანაშაულს, თუ უბრალო ახირეპას - ჯიხვეპის ხოცვას.

„მეგზენილიც მყვანდნენ სათვალთვა-

ლოდ კაცეპი, მაგრამ ვერე იოლად მთარი ნადირს ვერ დაუდეგეპა და თერგრი კიდეც - კალმახსა. ვერე ვიყავ მეცა. სახლში თოვს როგორ მოვიტანდი და ნანადირევეს კიდეც დღისითა. ვფხიზლობდი, ისე ვხოცდევიკე ჯიხვეპსა,“ - ამბობს მოხევე.

ეს ხელოვნურად დაწესებული შეზღუდევა არ ვრცელდეპა „დიდ კაცეპზე“, მეზობელი თუ მეგობარი ქვეყნეპის ლიდრეებზე, რომელთა დაბადეპის დღის სუფრეებს ჯიხვის მწვადეპი არ უნდა აკლდეს. სწორედ ამ „მისიის“ შესასრულელად კაცეპს მიერ გავგანვიღ მოხევეში მოხდეგა გარდასახევა და სწორედ ჯიხვებზე სანადიროდ წასული ჩაუფიქრდეპა ადამიანის სულის სინწინდის ფილოსოფიას.

დავეუკვირდეტო, საბჭოთა კავშირი, რომელიც თავს კანონიერეპისა და დემოკრატის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოდ წარმოაჩენს, ორმაგი სტანდარტით, სიბინძურეში ცხოვრობს. კაცეპს ევალეპა კანონის დაცევა და არალეგალურად, მოხევეს კანონის დარდევეპას სთხოვს. მათევის შეიძლეპა ჯიხვის მოკველა, უფრო მეტიც, სახელმწიფოს გაზულუქეპული მოხელეეპი და მეთაურეპი, მცონარენი და მუცლის მონეპი, საჩუქრად იღებენ თუ აძლევენ მოკულ ჯიხვს. სწორედ ესაა „მღვრიე ცხოვრეპა“, უზნეობა, ადამიანის გარყევა.

„უცეპ, ჩემს წინ, კლდეში წვეთ-წვეთად მომავალი სისველე დაეინახე. კლდიდან გამომავალი წყლის წვეთეპი ხელისგული ჩავიგუბე და დავეწაფე. დამიამდა სიგრილით გული. ჩემი ხელისგულიდან კლდეზე ჩამდინარე წყლის წვეთეპს თოლი გაგაყოლე ქვემოთ და რას ვხედევი? ის წყლის წვეთეპი სხვა წვეთეპს ერთევიან, მრავლდეპიან, ნაკადულს ქმნიან და ბროლივით მიიმსხვერევიან კლდეზე. გზადგ-

ზა კიდეც ასეთივე ნაკადულეპი უერთდეპიან და ხდის ხეობაში იყრეპიან ერთადა. მყინვარის შუბლივით თეთრი და სუფთა მიდის ქვემოთ ხდის წყალი. მიდის, ისიც ბროლივით მიიმსხვერევა. თოვზე დატანებული დურბინდით ჩაცექირე ამ წყალსა და ელდა მეცა - დაეინახე, თითქოს პირველად მენახოს, როგორ უერთდეპა ეს სუფთა და კამკამა წყალი მღვრიე თერგსა. ერევა და ცოტა ხანს თეთრ ზოლად მისდევეს, არ უნდა ამღვრევა, სისუფთავე სწადა, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, ისიც თერგეპით იმღვრევა მალედევი,“ - ყველა მოხევე და ველარ იმეტეპს ჯიხვეპს მოსაკლავად.

პატარა წყაროს დარდითა და წუხილით გამოკვეტა გოდერძი ჩოხელის მწერლური ფანტაზია მისმა დიდმა წინაპარმა, მთაზე ჩოხელივით შეყვარებულმა ვაჟა-ფშაველამ. ვაჟას მთის წყარო, ხდის ანკარა წყალივით, მხოლოდ ორი თუ სამის ვერსის სიგრძეზეა ბედნიერი და უცოდველი. „მერე დამლევს, ჩამთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგეპა ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა... როგორც უნდა, ისე მათამაშეპს. თითონ ხომ ღრიალეპს, ბორგავს, აწყდეპა აქეთ-იქით, ანგრევეს დედამინას, გლეჯავს ხეეპსა და მიათრევეს, მეც იმავე ჩამადენიეპს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდან ვიბადეპი... ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ჩემს ამავს რად აფუჭეპინეპ იმ ტიალს, აბეზარს, დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარეს!“ - წუხს ვაჟას წყარო.

პირველსახის სინწინდესა და „კაცის ესრეთ ბრალეპაზე“ საუბრობს ილიას მოხევეც „მეზავრის წერილეპში“. მისი აზრით, მეძვემრუშობისა და ანგარეპის შედეგია ის, რომ ცოდევა-მადლის გამკითხავი აღარავინაა: „ნარხდა, მოისრა ქვეყანა... აწინა ტყუობით, მეძვემრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთურთ ღალატით სარჩო-საბადეპელ სამოვერ გავგვიხდნის“.

მოსწავლა შეაოქავდი

ალსანიშნავია ისიც, რომ ჩოხელის მო-
თხრობაში ამბავს, ორიგინალური სადღე-
რძელოს სახით, მოხვედრე გვიყვება, ილიას
მოხვედრისავით ალალი, გულწრფელი და
ქვეყნის ავ-კარგინაობაზე დაფიქრებული
და ილიას მოხვედრისავით მოხვედრე დილექ-
ტზე ამტყველებული, ილიას მოხვედრისავით
ლალი, თავისუფლების მოყვარული და და-
უმონებელი.

„ჩავეყვი ბროლივით თეთრ ნაკადულსა,
მივე იმ ადგილას, სადაც მღვრიე თერგს უერ-
თდებოდა, ჩავიჩოქე და წყალს იმ ადგილას
ვაკოცე თეთრ ყელში, რომლის იქითაც
მღვრიე იწყებოდა.“ – ნანარმოების ეს ადგი-
ლი უბნობებსა და სისხტაკის თაყვანცემი-

სა და დაფასების გამოხატულებაა.
„იმ დღის მერე ვსვამ ამ სადღეგრძელოს,
რაც იმ გაგებანი გამაიხატება, რომ მანამ
სული სუფთა გვაქვს, გული სუფთა გვაქვს,
სუფთა საქმეებს ვაკეთებთ და ისე არ ავიმღ-
ვრევით, რო ვედარ ვგებულობთ, საით მივი-
ვართ, რატო და რისთვის მივივივართ, მანამ-
დე ვაგვიმარჯვავს. მღვრიემდე ვაგვიმარჯ-
ვას!“ – ამბობს გოდერიძე ჩოხელის მოხვედ-
რის რქის სასმისის ცლის.

მოხვედრე ცოტა დაბნეული, მაგრამ მყისიე-
რად გამოფხიზლებული ხალხი უერთდება და
სინმინდის, სიკეთისა და სათნობის სადღე-
გრძელოს მიერთმევს. როგორც მწერალი ამ-
ბობს, იმ წუთის ყველამ თვალნათლივ დაინა-

ხა, როგორ უერთდებოდა ბროლივით თეთრი
ხდის წყალი მღვრიე თერგს და ცდილობდა,
არ ამღვრეულიყო.
„ეტყობა, უმეტესობას თავის ბავშვობა გა-
ახსენდა და იმ თეთრად მომდინარე ნაკა-
დულს შეადარეს იგი... იმ წუთას ნეფე-პა-
ტარძალი ხდის ბროლივით თეთრ ნაკადულს
ჰგავდა,“ – წერს გოდერიძე ჩოხელის.
გოდერიძე ჩოხელმა ცოდვებით დამიმბე-
ღე წუთისოფლის სახედ ამღვრეული თერგი
გამოიყვანა. მღვრიე თერგივით არეული იყო
შეშლილი, მეოცე საუკუნეც, რომლის ერთ-
ერთი წარმომადგენელი, მეფე-პოეტი გალაკ-
ტიონი ამ არეულ დროსა და უამს ამღვრეული
ტვინების მეუფეობას მიანერს:

ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს,
ციდან ცრემლები მოდის ჩაფებით,
გრვინვა ციდან ცით მიაგვირგვინებს
ელვას – კივილთა აკიავებით.
განრისხებულა თვითონ ზევესი,
დორბლმორეული შავი მელანით,
დაკარგულია გზა მოხვევისი...
ბნელდება. ლამე. მიეშველენით.
დაბოლოს, შეიძლება დაისვას რიტორიკუ-
ლი კითხვა: მართლა დაკარგულია გზა მოხ-
ვევისი? ამიტომ იქნებ, სულაც ასეთი დასასრუ-
ლი სჯობს: „მღვრიემდე ვაგვიმარჯვას!“

საა თუთხარიძე
XII კლასი

მელა – მსხვერპლი თუ ჯალათი?
ევრიპიდეს „მელა“

როდესაც გააცნობიერებ, რომ სწორედ იმ ადა-
მიანმა გილალატა, რომელსაც მთელი შენი სი-
ცოცხლე შესწირე, მაგრამ ორმაგად და სამმა-
გად საშინელ სახეს იძენს ეს ამბავი, თუ ეს ხდე-
ბა სამშობლოდან ძალიან შორს. შესაბამისად,
მედვას ტრაგედია, პირველ რიგში, უსამშობ-
ლო ქალის ტრაგედიაა. მაგრამ დარტყმა კიდევ
უფრო მძიმდება, როცა შენ თვითონ ისპობ სამ-
შობლოში დასაბრუნებელ ყოველ გზას. მედე-
ამაც საკუთარი ქვეყნისა და ოჯახის დანგრევის
ხარჯზე აინყო მომავალი ბედნიერება, ასეთი
ბედნიერება კი დიდხანს ვერ გაგრძელდება.
უსამშობლოს მძიმე განცდაც მედეაში სწორედ
მაშინ იჩენს თავს, როდესაც კოლხ გრძნეულს
თავზე დაექცევა უზრუნველი ცხოვრება
უცხოობაში და როდესაც მიხვდება, რომ იმას,
რაც დაკარგა საკუთარი თავის წყალობით,
უკან ვეღარასოდეს დაიბრუნებს.

ევრიპიდეს ტრაგედიაში ვხვდებით მომენ-
ტებს, როცა იგი გამოუვალ სიტუაციაში მყოფ
მედვას გვიჩვენებს. ერთ-ერთი პასაჟია სამშობ-
ლოდან მოწყვეტის მედეას განცდები: „აქაც
თქვენი სამშობლო, თქვენი სახლ-კარი, ჭირშიც
და ლხინშიც მეგობრები გიდგანან მხარში? მე კი
მარტო ვარ, უთვისტომო, მიუსაფარი, ქმრისგან
მოძულედილი: უცხო ქვეყნიდან გამდგომი
არავინა მყავს მწვედ და მეოხედ. არც დედა,
არც ძმა, არც ნათესავი“. ამ ყველაფერს მედეა
საკუთარ თავს უნდა უმადლოდეს. ევრიპიდე
გამოხატავს რეალური ადამიანის ზუსტ სახეს.
როგორც ძველი ელინები ამბობდნენ, ეს ქალი
ადამიანებს ნახევრად ღმერთებად და ნახევრად
გმირებად წარმოადგენდა, სოფოკლე ისეთე-
ბად, როგორებიც ისინი უნდა ყოფილიყვნენ,
ხოლო ევრიპიდე ისეთებად, როგორებიც ისინი
არიან. ამ ტრაგედიას შემზარაობასაც ზუსტად
აღწერილი დეტალები განაპირობებს.

სამშობლო არის პირველი, რაც მედეას გა-
საჭირში აგონდება. ამ ნოსტალგიას ამძაფრებს
ისიც, რომ მას მშვენიერ ელადამი ბარბაროსად
მიიჩნევენ (ძალიანაც ნუ გვეწყინება, ბერძნები
ხომ ბარბაროსებს ყველა არაბერძნული წარ-
მოშობის ხალხს უწოდებდნენ). სწორედ ბარბა-
როსობის გამო ხდება იგი ამდენი დამცირებისა
და დევნის მსხვერპლი. ბერძენ ქალს ხომ ისა-
ნი იმავეს არასოდეს გაუკეთებდა; ბერძენ ქალს
ხომ კორინთოს მეფე კრეონი არასოდეს გააძე-
ვებდა შვილთან ერთად კარდაკარ სახეტი-
ალოდ. მაინც ყველაზე საინტერესო ისაონის
მედვას მიმართ მიდგომაა. მისი აზრით, თით-
ქოსდა ელინს კოლხისათვის იმაზე მეტიც გაუ-
კეთებია, ვიდრე მედეას მისთვის: „ბარბაროს-
თა ქვეყნიდან გამოეიტაცა და ელადამი დაგამ-
კიდრე, სადაც შეიცან სამართალი და კანონე-
ბი, შენს სამშობლოში გამეფებული თვითნებო-
ბისა და ძალმომრეობის ნაცვლად“. აქ საინტე-
რესოა ის ისტორიული ცნობები, რომელთა მი-
ხედვითაც, კოლხეთი იყო ძველამოსილი ქვეყ-
ნა თავისი მდიდარი კულტურით. მაგრამ ისაონი
ამუღავნებს ბერძნებისათვის ჩვეულ ამბიციუ-
რობას, სნობიზმს, რომელიც სხვა ეროვნების
ხალხის მიმართ ნაკლები ტოლერანტობით გა-
მოიჩნევა. „შენ სულ სხვა შიში გქონდა; ვაითუ
სიბერის დღემდე ბარბაროსის ქმარი მერქვასო“
– ეს საბაბი დაუსახელა მედეამ ორგულ ქმარს
ლალატის მიზეზად. მართალიცაა – მედეას ასე
მისი ბარბაროსობის გამო მოექცნენ, თუმცა,
ალბათ ძნელად თუ მოიძებნებოდა ელადამი ქა-
ლი მედეაზე ჭკვიანი, ნიჭიერი და ეშმაკი.

„რამდენი სულდგმულია ამ ქვეყნად, რამ-
დენ გულში ღვივის გრძნობა და აზრი, მაგრამ
არ მოიძებნება არსება, ქალზე უფრო უმწიკო და
საცოდავი“ – მედეა ამ სიტყვებით ქალის მძიმე
ბედს უსვამს ხაზს, ევრიპიდე კი გვაძლევს უფ-
ლებას, განვსჯავთ – ძლიერი თუ სუსტი ქალის

სახე მედეა; შურისძიება მისი სისუსტე თუ
სიძლიერეა – ამ ყველაფერზე პასუხს ტრაგი-
კოსი პუბლიკას მიანდობს. ერთი კი ცხადია,
რომ სუსტი ქალია, მედეაზე ვერ ვიტყვით,
მაგრამ ის თავიდანვე გახდა იასონის ტყვე-
მართლა ეროსი ვერ აძგერებდა მედეას იმ საბე-
დისწერი ისარს და ვერც ზღვის ქაფიდან შობი-
ლი კიპრიდა, იგივე აფროდიტე შთააგონებდა
მას უცხოტომელის სიყვარულს, მან თავისით
გააკეთა არჩევანი და ამ არჩევანს შესწირა სხვა
ყველა არჩევნის შესაძლებლობა.

ყველაფერი ერთმანეთს მიზნყო: უსამშობ-
ლობა, ქმრის ღალატი, გაძევება, დამცირება –
ამის ატანა არ შეეძლო ჰელიოსის შვილიშვილს.
დაძაბულ სიტუაციაში იგრძნობა საშინელების
მოლოდინი. ამას ყველაზე კარგად მედეას ძიძა
გრძნობს, რომელიც თავის გაზრდილს საუკე-
თესოდ იცნობს: „უკადრი და შურაცხყოფას
ურჩევია მისი სული. საშინელია მედეას რისხვა:
თავბედს აწყველინებს გათავებულს
მტერს“, მაგრამ ის, რაც აქამდე იყო, არაფერია
იმ ტრაგედიასთან შედარებით, რომელიც მე-
დეას ცნობიერებაში უკვე მოხდა შურისძიების
იდვის დაბადებასთან ერთად.

დაუბრუნდეთ ძალიან საინტერესო დია-
ლოგს მედეას და ისონს შორის. აქ ყველაზე
კარგად ჩანს უმადური, ცინიკოსი, თავდაჯერე-
ბული კაცის სახე, რომელიც სრულიად დარწ-
მუნებულია თავის სიმართლეში. მიატოვა
ცოლ-შვილი, განირა ისინი უპატრონოდ სახე-
ტიალოდ და ახლა ყველაფერს ისევ თავის
ცოლს – მედეას აბრალდებს. „შენს თავს დააბრა-
ლე“ – ეს ფრაზა ლაიტმოტივად გასდევს ისა-
ონის სიტყვებს, ქმრის უტიფრობით აღმოუთე-
ბული მედეა ახსენებს მას, რომ სწორედ ის ერ-
თი დაეხმარა იასონს, მისი გულისთვის განირა
ძიძა, ჩაიდარა მრავალი მკვლელობა. რამდენა-
დაც დიდი იყო მსხვერპლი, იმდენად და ორჯერ
მეტადაც მძიმე იყო მომხდარით გამოწვეული
სინანული. „საით ნავიდე? ვინ შემეფარებს? მა-
მაჩემი, რომელსაც შენი გულისთვის ვულალა-
ტე, თუ შელიასის ასულები?“ – მედეას წასა-
ვლელი არსად აქვს. ამაზე კი ისაონი სრულიად
ალოკიკურ პასუხს იძლევა: „ძალიან კი აზვი-
ადებ მავ შენს მხარდაჭერას – კიპრიდას ესახავ
ჩემს ერთადერთ მწვედ და მეოხად“. მედეა კი
სწორედ ღირსი იყო ამ სიტყვებისა, იგი ხომ სი-
ცოცხლის ბოლომდე მადლიერი უნდა დარჩენი-
ლიყო ქმრისა, რომელმაც ელადამი წამოიყვანა!
„ღმერთმანი, ჭკვიანურად კი მოვიქეცი შენს სა-
სიკეთოდ და ჩემი შვილების საკეთილდღეოდ“ –
თურმე ისაონს თავისი ქორწინება ოჯახისთვის
მოუძღვნია და მხოლოდ მედეასა და შვილებზე
ზრუნვამ გადაადგმევინა ეს „მძიმე“ ნაბიჯი. იგი
თავის მომავალ შვილებს მიიჩნევს მედეასა და
საკუთარი შვილების დამხმარებლებად. ისაონი
მართლა მარაზმამდე იყო მისული. „თვითონ
ირჩიე ასეთი ბედი, სხვას ნუ აბრალე“. მართ-
ლაც, მედეამ ეს გზა თვითონ აირჩია და ახლა
შესაბამის ბოლოსაც უმზადდება მას. მედეას
მეორე დიალოგი ისაონთან არის სრული თამა-
ში. ამ დროს ავლენს მედეა თავის ნამდვილ სა-
ხეს, უშმაკობასა და მოხერხებულობას. ამ მო-
მენტთან ვხვდებით, რომ ეს ქალი ნამდვილად
გრძნეულია. მედეა ვითომდა შეურიგდა იასონს,
ალიარა მისი ჭეშმარიტება და შვილების კორინ-
თოში დატოვება სთხოვა. ეს სპექტაკლიც ხომ
სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იყო დადგმული.
განაჩენი გამოტანილი იყო: მედეა თავისი
ქმრის მომავალ მეუღლეს გაუფხავებდა მონამ-
ულ მოსასხამსა და გვირგვინს, რათა ამ უკა-
ნასკნელს წამებით ამოხდენოდა სული. მაგრამ
ამ ყველაფრის განსახორციელებლად მას რა-
ლაც აკლდა. კრეონი, რომელმაც ის თავისი სა-
ხიფათო ჯადოქრობის გამო გააძევა კორინთო-

დან, არ დაუშვებდა საჩუქრის მიღებას, მაგრამ
თუ ეს საჩუქარი მედეას შვილების მიერ იქნე-
ბოდა მირთმეული, მაშინ მეფე ირწმუნებდა მის
უვნებლობას და კოლხი ქალის საბოლოო შუ-
რისძიებაც აღსრულდებოდა. მაგრამ საკითხა-
ვია, რის ფასად? მედეა ხომ, ფაქტობრივად,
შვილებს სასაკლაოზე აგზავნიდა, რადგან კო-
რინთოელები მაინც დაუხოცავდნენ ვაჟებს.
ამიტომაც ისევ თვითონ ამჯობინა საკუთარი
ბავშვების დახოცვა. მაგრამ მანამდე ალსანიშ-
ნავია ერთი ფაქტი: მედეა სანამ ეგვესთან
ათენში არ იპოვა თავშესაფარი, მანამდე არ
იყო დარწმუნებული თავისი შურისძიების სცე-
ნარის წარმატებაში, მაგრამ როდესაც მას გა-
რანტირებული თავშესაფარი აქვს, იგი წირავს
შვილებს, თავს კი გაქცევით შევლის. ეს, პირ-
ველ ყოვლისა, მედეას ეგოისტურ ბუნებაზე
მიგვითხითებს. უმრავლესობა თავსაც მოიკ-
ლავდა ამ საშინელი განაჩენის აღსრულების
შემდეგ. საინტერესოა, რა იყო ის, რაც მედეას
ამოძრავებდა; „ო, სიამაყე იგმომ მკვლელო და
დამღუპველო!“ – სწორედ სიამაყის გამო აკე-
თებდა აიეტის ასული ამ ყველაფერს – ეგლა აკ-
ლდა, ბერძნებს გაეცინათ მასზე: შური როგორ
ვერ იძიო. იგი მეფეზეც, მეფის ასულზეც და
თავის მოლატე ქმარზეც აპირებდა შურის-
ძიებას. შვილების სიკვდილი სწორედ ყველაზე
საშინელი დასჯა იქნებოდა იასონისთვის. მაგ-
რამ სად გაქრა დედობის ინსტინქტი, შვილების
უსაზღვრო სიყვარული?! დედობის ინსტინქტს
მედეაში სძლია შურისმაძიებლის ინსტინქტმა.
მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მედეას ეს გა-
ნაჩენი შვილებისათვის აფექტურ მდგომარეო-
ბაში მყოფს არ გამოუტანია. მან ჯერ კარგად
ანონა–დანონა სიტუაცია და შემდგომ ამგვარ
განაჩენსა თუ სასჯელზე შეაჩერა არჩევანი.

ტრაგედიის ყველაზე დრამატული მომენ-
ტია მედეა პიროვნების გაორება. ევრიპიდე
გვიხატავს მედეას ორ სახეს – მას, როგორც
დედას და როგორც ცივისსხლიან შურისმაძიე-
ბელს, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი.
მიმდინარეობს ბრძოლა ამ ორ „მეს“ შორის.

დედა: „რად მინდა მამის ტანჯვა ჩემი შვი-
ლების სიკვდილისა და ჩემივე უბედურების ფა-
სად ვიყიდე? შორს ჩემგან სისხლი, შორს ჩემ-
გან ზრახვა!...“

შურისმაძიებელი: „მაგრამ რას ვამბობ? მამ,
მტერი ვაცირო ჩემზე; დაუსჯელად დაეტოვო
იგი; ოჰ, შე ჯადაჩემო ჩემო თავო; მხდალო, ლაჩა-
რო, წყეულო მონავე ლომობიერების!“

ამ ორი ინსტინქტის დუელში ჩანს თუ რამ-
ხელა სულიერ ტანჯვას განიცდის მომავალი
შვილების მკვლელობა: „ახლა კი, როცა სასტიკად
ვიძიე შური, მე თვითონაც უნდა დავადგე ჯერ
არნახული სიმწირისა და წამების გზას...“

მედეამ იძია შური და ანან მას კმაყოფილე-
ბის გრძნობა მოჰგვარა, თუმცა ამ სიამოვნებას
საკუთარი შვილები შესწირა. მამის სატანჯვე-
ლად გამოიყენა ისინი, როგორც ყველაზე
ეფექტური იარაღი.

ისაონი: „შენი თავის მტერიც ხომ ხარ, შე სა-
ცოდავი?!“

მედეა: „სწორია, მაგრამ ნუგეშად შენი ტან-
ჯვა მეყოფა!“

გამარჯვებული მედეა ჰელიოსის გამოგზავ-
ნილი ეტილით მიდის წინ ბედისწერის შესახვედ-
რად. მაგრამ კიდევ ბევრი კითხვაა პასუხგაუცე-
მელი: კიდევ საკითხავია, მსხვერპლია თუ ჯალა-
თი კოლხი მედეა, გამარჯვებულია საკუთარ თავ-
თან ბრძოლაში თუ დამარცხებული და ისიც სა-
კითხავია, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან გააკე-
თა, არის თუ არა გამართლებული იდგეს საქათ-
ველოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქალაქში მედეას
ქანდაკება, თანაც, ოქროს საწმისით ხელში...“

თამარ გიორგოზიანი
XI კლასი

# პორტრეტები ბაზალეთის ტბის ფონზე

ბანალური იქნება ახლა მასწავლებლების გაზეთში დავიწყო იმის მტკიცება, თუ რა ადგილი აქვს ადამიანის ცხოვრებაში მასწავლებელს, რა გავლენის მოხდენა შეუძლია მასწავლებელს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ამიტომ ზოგად სენტენციებს თავს ავარიდებ და შემოგთავაზებთ რამდენიმე ჩემი კოლეგის პორტრეტს. ქართული ენის იმ მასწავლებლებს გაგაცნობთ, რომლებიც ჩვენი პროგრამის „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში ასწავლიან ქართულს აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში. მაისის დასაწყისში პროგრამის მონაწილეებს გვქონდა ტრადიციული კონფერენცია, რომელიც ბაზალეთის ტბის დასასვენებელ კომპლექსში ჩატარდა და რომლის თემა იყო „პრობლემები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებაში“. აქ გვქონდა საშუალება კიდევ ერთხელ გველაპარაკა ჩვენ პრობლემებზე და გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის ამ პრობლემების ჩვენი უდიდესი დაჭრის გზები...

მაგრამ ამ წერილის მიზანი არ არის არც პრობლემებზე და არც თავად, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან, კონფერენციაზე საუბარი. ამ წერილის მიზანია გაჩვენოთ ჩემი კოლეგები, რომლებსაც წელიწადში მხოლოდ რამდენჯერმე ვხვდები და ძირითადად ინტერნეტით ვურთიერთობ, მიუხედავად ამისა, ან უფრო სწორედ ამის გამო, მათ მიმართ გარკვეული დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა, ისინი ძალიან აქტიური და საინტერესო წევრები არიან ჩვენი პროგრამისა, მათგან, თითქმის ყოველდღე, რაღაცას ვსწავლობ. მე ვიცი, რომ ჩემი კოლეგები ზედმეტი ყურადღების გარეშე გაცილებით უკეთესად გრძნობენ თავს, მაგრამ ვფიქრობ, რომ კარგს თავისი სახელი უნდა დავარქვათ.

თავიდანვე მინდა გავაფრთხილო ჩემი მკითხველი, ვერ ვიტყვი, რომ ჩემ მიერ დახატული პორტრეტები სრულყოფილია, მაგრამ ეს არის ის, რასაც და როგორადაც მე ვხედავ და რისი გაცნობა და გაზიარებაც მომიხდა სრულიად საქართველოს პედაგოგიური საზოგადოებისთვის. მამ ასე, დავიწყო!

- შორენა ხუხუა** – ენერგია
- ნათია მანია** – ინტელექტუალიზმი
- ნონა არევაძე-კოტორაშვილი** – პროფესიონალიზმი
- ია რობაქიძე** – განონასწორებულობა
- ნინო ჭანკვეტაძე** – მრავალმხრივი
- გიორგი ჭაუჭიძე** – „ზმნარდი“

არ გგეგმობთ, რომელიმე ამათგანს მეორეს ნიშანთვისება არ ახასიათებდეს, უბრალოდ ეს არის ის სიტყვები, რაც პირველივე მოდის ამ ადამიანების სახელების სხელებაზე. არის სხვა მახასიათებლებიც:

- შორენა – ხანუმი
- ნათია – მოაზროვნე
- ნონა – დედა
- ია – ცოლი
- ნინო – გასათხოვარი
- გიორგი – ვაირამინდოდაამათხელში.
- კიდევ არის ერთი შტრიხი, რაც აუცვლელია მათი პორტრეტების შესაქმნელად:
- ხუხუა – მეგრელი
- მანია – მეგრელი
- არევაძე-კოტორაშვილი – კახელი
- რობაქიძე – იმერელი
- ჭანკვეტაძე – იმერელი
- ჭაუჭიძე – იმერელი

თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო აღმოსავლეთ საქართველოში წამოსულა იმისთვის, რომ ქართული ასწავლოს:

- შორენამ – აზერბაიჯანელს
- ნათიამ – აზერბაიჯანელს
- ნონამ – აზერბაიჯანელს
- იამ – აზერბაიჯანელს
- ნინომ – აზერბაიჯანელს
- გიორგიმ – სომეხს

მოკლედ, ეს გიორგი თითქმის ყველაფერში განსაკუთრებულია!

\*\*\*

იმედია, ჩემი მეგობრები და პროგრამის კოლეგები არ მიწყენენ და გიორგით დავიწყებ!



გიორგი ჭაუჭიძე, ნათია მანია და მაკო ჭილაშვილი კონფერენცია, ბაზალეთი

გიორგი მართლაც განსაკუთრებულია. ორი უმაღლესი განათლება – თუმცა ჩვენთან რამდენიმე კიდევ აქვს ორი დიპლომი.

ამ პროგრამაში ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ ჩაერთო – თუმცა ასეთებიც გვყავს პროგრამაში.

ისე, მამაკაცებიც ბლომად გვყავს პროგრამაში...

მაშინ რით არის ის განსაკუთრებული?

რით? იმით, რომ ის გიორგია ჭაუჭიძე.

და კიდევ იმით, რომ გიორგიმ შექმნა „ზმნარდი“. არაქართველი ბავშვებისთვის ზმნის უღლების შესწავლის გაადვილებების მიზნით მოიფიქრა ელექტრონული რესურსის შექმნა, რომელიც ყველა ჩვენგანი საკუთარ ზმნებს ჩანერდა, ამ ზმნებს აუღლებდა და ასე მივიღებდით სასწავლო ელექტრონულ რესურსს, სადაც ზმნები იქნებოდა ნაუღლები სერიებსა და მწკრივებში და ის სულ მუდამ ზრდის პროცესში იქნებოდა!!!

ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ზმნაა ქართულში! ხოდა ეს რესურსი სულ ზრდაში იქნებოდა, ამიტომაც დაარქვა გიორგიმ მას „ზმნარდი“.

გარდა ამისა, გიორგის კარგი მეთოდი აქვს შემუშავებული ზმნისწინების სწორად გამოყენებისათვის. ქმნის წინადადებებს, რომელშიც მოქმედი პირის საკუთარი სახელი იწყება იმ ზმნისწინით, რომლითაც იწყება ამ წინადადებაში ზმნა – შემასმენელი.

გიორგის უკვე მეორე კონფერენციაზე ვუსმენ და ყოველთვის რამე არაორდინარულს, ძალიან საინტერესოს და ამასთანავე საკამათოს გამოიტანს ხოლმე... აკი აღიარებს თავადაც, რომ ნერვიულობს, როცა ამდენი ფილოლოგის წინაშე გამოაქვს თავისი ნააზრევი.

მე კი მგონია, რომ სწორედ ის, რომ გიორგი არ არის ფილოლოგი, აძლევს მას საშუალებას, სხვებზე უფრო თავისუფალი იყოს ლინგვისტურ ძიებებში, რასაც ძალიან კარგად და საინტერესოდ აკეთებს.

ენის მკაცრი წესების მკაცრი დამცველები კი ბევრნი არიან ჩვენი პროგრამის მასწავლებლებს შორის, თუმცა არც გიორგი არის სხვაზე ნაკლები მექართულე, ის ქართულის საუკეთესო სერტიფიცირებული მასწავლებელია.

როცა გიორგი აკეთებს პრეზენტაციას, როცა გესაუბრება, როცა სხვას უსმენს, ასე გგონია, განუწყვეტლივ კიდევ რაღაცაზე ფიქრობს, რაღაცას ეძებს... ის თითქოს არის, და თითქოს არც არის აქ და ახლა. მაგრამ ზუსტად იცი, რომ ახლა და აქ მის გონებაში კიდევ რაღაც ახალი „ზმნარდის“ მაგვარი იბადება.

\*\*\*



ნამდვილად მიძინებდა რიგითობის განსაზღვრა, როცა ჩემ კოლეგებზე მინდა წერა.

არც ისე შორეული წარსულის პოლიტიკური სლოგანი გამახსენდა – ექიმი, მენარმე და პოლიტიკოსი... თუ როგორც იყო...

ამ სლოგანის პერიფრაზირებას მოვახდენ – „ლამაზი ქალი, მზრუნველი დედა, წარმატებული მასწავლებელი“.

როცა პირველად, მასწავლებლის სახლში, ვნახე ნონა არევაძე-კოტორაშვილი, გასათხოვარი გოგო მეგონა, გული დამწყდა – ასეთი ლამაზი, მოვლილი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ქალი სკოლაში შერჩება და გაუთხოვარი დარჩება-მეთქი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. ეს ახალგაზრდა სასიამოვნო გარეგნობის, კარგად მოვლილი ქალი გათხოვილიც არის და ... ხუთი შვილის დედაც!!! სამი გოგოს და ორი ბიჭის მზრუნველი და მოსიყვარულე დედა.

ნონა შეურყევადი არგუმენტი იმ ქალებისთვის, ვინც ფიქრობს, რომ ქალის ადგილი სამზარეულოშია, მისი ერთადერთი მოვალეობა შვილის გაჩენაა, სამსახური და ოჯახი ერთად შეუთავსებელია, ან პირიქით, იმ ქალებისთვის, ვინც კარიერულ ზრდაზე ფიქრობს და კარიერა და პროფესიული თვითრეალიზება ოჯახთან შეუთავსებლად მიაჩნიათ.

ნონამ ყველაფერი ჰარმონიულად შეუთავსა ერთმანეთს, მეუღლე და ხუთი შვილი და სკოლა მარნეულის რაიონში სოფელ დამტაფაში, სადაც ყოველდღე დადის რუსთავიდან. ის ერთ-ერთია მათ შორის, ვინც საუკეთესო სერტიფიცირებული მასწავლებლის ნოდება მიიღო, არა მხოლოდ ჩააბარა პროფესიული უნარები და ქართული, არამედ ისწავლა ინგლისური და ჩააბარა ინტეგრირებული გამოცდაც.

ნონასთვის ყველა საქმე – სახლს ეხება ეს თუ სკოლას,

დადებითი ემოციებისა და განწყობის წყაროა, რადგან თავადაც ამ დადებით ემოციას, განწყობას და ენერჯის აფრქვევს ირგვლივ და იცით, რა არის მნიშვნელოვანი? ამ ყოველივეს ისეთი სიმშვიდე ახლავს, რომ როცა ეხები და ეხვევი მის ენერჯიაში, ის არ გლღის, გამშვიდებს, რაღაცნაირი სიმშვიდე იბუდებს შენში, როცა მას ესაუბრები. როცა კამათობს პრინციპულად, პროფესიონალურად, მაგრამ მშვიდად, მისი ყოველი სიტყვის გვერა და ხვედები, რასაც ნონა ამბობს სწორია. ეს უკვე, ვფიქრობ, ხუთი შვილის დამსახურებაა!

\*\*\*

სამი მეგობარი



ნათია მანია, ია რობაქიძე და ნინო ჭანკვეტაძე რემარკს დავესესხე სათაურში.

ცალ-ცალკე მათზე წერა გამიჭირდება. ნებისმიერ შეხვედრაზე სულ ერთად არიან.

ორადგილიან ნომრებშიც კი მესამე ლოგინს აშლენიებენ. ისიც კი, ვინც პირველად ხედავს მათ, ხვდება, რომ საერთო წარსული აკავშირებთ!

და მართლაც ასეა... ორნი ჯგუფელები არიან, მესამე მათი კურსელია.

ორი კავსიური ენების სპეციალისტი, მესამე – ლიტერატურის.

მესამეს ია ჰქვია და თავად არის იისნაირი ნაზი და ნათელი, იისფერი თვალებით და ქერა თმით, იმერული თავაზიანობითა და თავისი გვარისთვის შესაფერისი სიღინჯით და თავმდაბლობით – ია რობაქიძეა.



ია ისევე, როგორც სხვები, ვისზეც ახლა ვწერ, ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ ჩაერთო ამ პროგრამაში და სომეხ ბავშვებს ასწავლიდა ქართულს.

ახლა კი აზერბაიჯანელი ბავშვებია მისი ზრუნვის საგანი. ია თავისი პატარა ოჯახის დიდი დიასახლისია... თერჯოლის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა დატოვა თანამდებობა, მოკიდა თავის მეუღლესა და პატარა ბიჭს ხელი, ბოლნისში წავიდა და იქ ასწავლის თავის საყვარელ ქართულს და ქართველობას აზერბაიჯანელ ბავშვებს, თავის საკუთარ შვილს კი იმაზე დიდი მაგალითი ადამიანობის, პროფესიონალიზმისა, დიდი გულის, ალბათ, კიდევ დიდხანს არ შეხვდება. ბავშვები ხომ მაგალითებზე უკეთ სწავლობენ, ვიდრე მშრალ სენტენციებზე... ასე რომ, კიდევ ერთი დიდი გულის ნამდვილი ადამიანი და თავის საქმეზე შეყვარებული ქართველი ეზრდება საქართველოს.

იას პროფესიონალიზმს და მიზანმიმართულებას ისიც ამტკიცებს, რომ ისიც, როგორც გიორგი და ნონა „საუკეთესო სერტიფიცირებული მასწავლებელია“.

კიდევ ერთი „საუკეთესო სერტიფიცირებული“ მასწავლებელი გვყავს.

კიდევ ერთი იმერელი – ზესტაფონელი ნინო ჭანკვეტაძე, ზესტაფონელობას მგონი იბრალეს, რადგან სულ თბილისში ცხოვრობს და აქვე მუშაობდა.

მაგრამ არა, არ იბრალეს, რადგან იმერული სტუმარ-

ქართული, როგორც მეორე ენა

მასპინძლობა სისხლში აქვს გამჯდარი და საუკეთესო ჭვიშტარს აკეთებს. სხვათა შორის, კარგი კულინარიც ვარო - ასე თქვა ნინო.

მჯერა, რომ არის... ზოგადად, ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, ადამიანს უყვარს იმის კეთება, რაც მასთან, როგორც პიროვნებასთან, ძალიან ახლოსაა. ნინოც ასეთია...



ძალიან ლამაზი, ფაფუკი და ნაზი, ენატკბილად მოსაუბრე, რომელიც სულ მუდამ კარგ ხასიათზე გაცხენებს. ნინოს განსაკუთრებული ღიმილი აქვს - აი, თვალები რომ იცინის, ისეთი.

როცა ასეთი მასწავლებელი შედის ალგეთის აზერბაიჯანულ სკოლაში, შეუძლებელია რომელიმე მოსწავლე გულგრილი დარჩეს მის მიმართ, არ მოუსმინოს და არ ისწავლოს ის, რასაც ნინო მასწავლებელი ეტყვის.

უსმენენ და სწავლობენ. შედეგად - ყოველ წელიწადს სტუდენტად ქვეული აბიტურიენტები და გრანტიანი სტუდენტები. ეს სწორედ ის შედეგია, რომელზეც ბევრი ჩვენგანი და პირადად მე ვოცნებობ, რომ ჩვენი არაქართველი მოსწავლეები საქართველოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გახდნენ.

კინალამ დამავინწყდა, ნინო განა მხოლოდ ქართულშია სერტიფიცირებული მასწავლებელი, მას კიდევ აქვს ერთი სერტიფიკატი - მათემატიკაში!!!

აი, რატომ არის ის მრავალმხრივი!



ამბობენ, მეგრელი ქალები განსაკუთრებით ლამაზები არიან... ამას ადასტურებენ მანია და ხუხუა. იმასაც ამბობენ მეგრელები განსაკუთრებით ნიჭიერი და

ჭკვიანი ხალხიაო ამის არგუმენტიც მანია და ხუხუა... ეს ნახევრადსერიოზულად.. დიდი დრო დამჭირდა იმისათვის, რომ ნათია მანიაზე დამეწერა რამე... ნათია ერთ-ერთია იმათგან, ვისიც განსაკუთრებულად „მეშინია“... ის არ არის უბრალოდ ქართულის კარგი მასწავლებელი, ის არის სულით, გონებით, მონოდებით და ინტუიციით ლინგვისტი.

ის ნებისმიერ ენობრივ შეცდომას, განსაკუთრებით დანერვილს, თითქმის, პირად შეურაცხყოფად იღებს. იბრძვის ენის სინამდისათვის, არა მხოლოდ თავის აზერბაიჯანულ კლასში, არამედ ფეისბუქის გვერდზეც. როცა ნათია ენობრივ საკითხებზე საუბრობს, შეგიძლია, დარწმუნებული იყო, გადამომნება არ არის საჭირო.

მაგრამ განა მხოლოდ ენობრივი შეცდომების წინააღმდეგ ილაშქრებს მანია? არა!

მისთვის მიუღებელია ნებისმიერი ფაქტობრივი შეცდომა ან უზუსტობა, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერ სასკოლო სახელმძღვანელოში. ის თვლის (და ამაში, ალბათ, ყველა ვეთანხმებით), რომ სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს მეცნიერულად სწორი და უტყუარი.

ეს, ალბათ, ნათიას მოაზროვნების „ბრალია“. ის ხომ მოაზროვნეთა კლუბის წევრია და მისთვის ინფორმაციის უტყუარობას და სანდოობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნათია წერს... წერს ძალიან ლამაზად და ძალიან გულწრფელად, ამიტომ მისი ნაწერი გულგრილს არ გტოვებს, თბილად გეძებდა სულზე და ნაზ სევდას გგვრის.

ასე მგონია, ნათიასთვის ნახევარტონები მიუღებელია - რამდენადაც ნაზი და მგრძობიარეა თავის ლექსებში და ჩანახატებში, იმდენად შეუდრეკელი და უტყუარი პროფესიულ საკითხებში, იმდენადვე ლაღი და გულლიაა მეგობრებთან ურთიერთობაში.

მეგობრობა კი როგორი იცის (უფრო სწორად, როგორიც იცინა) უკვე იქიდან ჩანს, რომ სტუდენტობაში დაწყებული მეგობრობა დღესაც ისეთივე ძლიერი, გულწრფელი და ლამაზია, როგორც მაშინ - გადარეულ, გაყინულ და გაუბედურებულ 90-იანებში.

ია, ნინო და ნათია - ქართული ენის სიყვარულით გაერთიანებულ ამ სამ მეგობარს მასწავლებლობის მაღლიც უხვად აქვთ მონიჭებული და, ნათიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „არიგებენ ჭკუას აქვთ და იქით, სთხოვენ თუ არა“.

\*\*\*

მინდა, კიდევ ერთ ჩემს კოლეგაზე დავწერო.

მას საკმაოდ ბევრი ადამიანი იცნობს საქართველოში მასზე კეთდება გადაცემები, ინერება სტატიები. მეც მინდა დავწერო... არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ერთხელ რომ

ნახავ, უბრალოდ ნახავ, ძალიან დიდი ხნით რჩებიან შენს მეხსიერებაში რაღაც წვრილმანებით, სერიოზული თუ უმნიშვნელო წვრილმანებით... ის დანახვისთანავე იქცევა შენს ყურადღებას, გაბნევა კიდევ, არ იცი მოგეწონოს თუ არა, რადგან ძალიან განსხვავდება შენგან და ამ განსხვავებულობაში მის უპირატესობას გრძნობ.



სადაც ეს პატარა ტანის ახალგაზრდა ქალი გამოჩნდება, ყველგან სიცოცხლე სხვანაირად, უფრო ძლიერად, ენერგიულად და ხმამაღლა იწყებს ჩქეფას. ბევრა მასში ყმანვილებისთვის დამახასიათებელი პირდაპირობა, უკომპრომისობა და მაქსიმალიზმი. მას მაქსიმუმის მიღება უნდა ცხოვრებიდან და მაქსიმუმის მიღება უნდა მოსწავლეებისგან. ამიტომ მაქსიმალურად ისარჯება ცხოვრებაში და მაქსიმალურად გასცემს თავის ცოდნასა და უნარს სკოლაში.

ის ერთადერთია ჩვენს პროგრამაში, ვინც 9 წლის წინ დაწყებული მუშაობა სადახლოს სკოლაში არ შეწყვიტა და ცხრა წელია ასწავლის აზერბაიჯანელებს ქართულს. ამიტომ ჰყავს მას სტუდენტები, ამიტომ არჩევენ მისი უფროსკლასელები ილიას „მგზავრის წერილებს“.

საერთოდ ვთვლი, რომ ენერგეტიკა, რომელსაც ატარებს მასწავლებელი, გადამდებია, სიყვარული საგნისადმი, გადამდებია, სიყვარული ბავშვებისადმი, გადამდებია და ბადებს საპასუხო სიყვარულს.

მასწავლებლების უმრავლესობას აქვს ეს უნარი, ეს უნარი აქვს ყველას, ვისზეც მე დავწერე, მაგრამ შორენა არა მხოლოდ ბავშვებზე მოქმედებს ასე, არამედ ზრდასრულ ადამიანებზეც, მათ შორის თავის კოლეგებზეც.

ალბათ, იმიტომ რომ ის ჩვენი პროფესიის წარმომადგენლების უმრავლესობისაგან, პირადად ჩემგან განსხვავებით ნაკლებად ბოჭავს და აკონტროლებს თავის ემოციებს, არ ზღუდავს საკუთარ თავს არც აზრის გამოთქმისას და არც რაიმე საქმის კეთებისას. სიცოცხლის სიყვარული საოცარ რამეებს აკეთებინებს.

შეუძლებელია ეს ვერ დაინახოს და ვერ იგრძნოს, თუნდაც სხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანმა, მოზარდმა და შეუძლებელია არ უნდოდეს მასთან დაახლოება, მეგობრობა, ამიტომ კი უნდა ისწავლოს ის ენა, რომელზეც ასეთი მასწავლებელი ლაპარაკობს. უკეთ ისწავლოს ქართული, რომ სწორედ ამ მასწავლებლისგან გაიგოს, რატომ უნდა უყვარდეს ადამიანს სიცოცხლე, რატომ უნდა ცხოვრობდეს საინტერესო ცხოვრებით და არ იყოს ჩაკეტილი თავის თავში. აკეთოს საქმე, რომელიც უყვარს და რომელიც თავის ქვეყანას გამოადგება.

ამ ჩემს კოლეგას შორენა ხუხუა ჰქვია. მე შეგებულად ავარიდებ თავი იმაზე წერას, რაც ბევრჯერ ითქვა და დაინერა... შორენას პორტრეტს არ სჭირდება დამატებითი ბედუკულმართობის მუქი საღებავები იმისათვის, რომ მისი შინაგანი ნათელი გავაძლიეროთ, რომელიც ასე ანათებს მისი შავი თვალებიდან.

პროგრამის მონაწილე პედაგოგები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის სკოლებში ქართულ ენას შეასწავლიან. ისინი ადგილობრივ ოჯახებში იცხოვრებენ და რეგიონში, მინიმუმ, ერთი აკადემიურ წლის მანძილზე დარჩებიან. პროგრამაში ჩართვამდე ყველა მონაწილე პედაგოგის პრინციპში სპეციალურ მომზადებას გაიცვლის.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენა და ფლობს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მინიმუმ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. ბაკალავრის ხარისხის მქონე ახალგაზრდებს, პროგრამაში მონაწილეობისა და მაგისტრატურის გამოცდების წარმატებით დაძლევის შემდეგ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მაგისტრატურაში სწავლას სრულად დაუფინანსებს.

პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მიზანია, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის ფარგლებში, ხელი შეუწყოს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის პროცესს. პროგრამა 2011 წლიდან ხორციელდება და მასში რამდენიმე ასეული მოხალისე პედაგოგია ჩართული, რომლებიც ცხოვრობენ და წარმატებით ასწავლიან ქართულ ენას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ინტერვიუ

P.S. ძალიან ბევრი, ძალიან ღირსეული ადამიანი მუშაობს ჩვენ პროგრამაში „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“. ზოგს კარგად ვიცნობ, ზოგს ნაკლებად, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო - ღირსეულთა შორის ღირსეულები არიან! სწორედ მათ შეუძლიათ ბაზალეთის ტბის ძირას დავანებული საქართველოს იმედის გაცოცხლება და აღორძინება. მათზე წიგნები უნდა იწერებოდეს! ვამაყობ, რომ მათი გუნდის წევრი ვარ.

ინფორმაცია

ერთიანი ეროვნული გამოცდების საორგანიზაციო შტაბის საოცნებო შედეგების საინფორმაციო შტაბის შეიქმნა, რომელიც გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარებას უზრუნველყოფს. გაიმართა შტაბის პირველი სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა გამოცდებთან დაკავშირებული ყველა საკითხი როგორც შინაარსობრივი, ასევე ლოჯისტიკური. შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა გახსნა.

საორგანიზაციო შტაბის წევრები არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების; შინაგან საქმეთა; ფინანსთა; სასაზღვაო უწყებების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების; პრეზიდენტის ადმინისტრაციის; თბილისის მერიისა და თელავის წარმომადგენლები.

პროცესში ჩართულმა შტაბის თითოეულმა წევრმა, დაკის-

რებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, იმ უკვე შესრულებულ სამუშაოზე ისაუბრა, რომელიც მისმა უწყებამ განახორციელა და რასაც მომავალში გეგმავს.

ანალოგიური სამუშაო შეხვედრები, რომელთა მიზანია საგამოცდო პროცესი მაღალ დონეზე, ხარვეზებისა და შეფერხებების გარეშე წარმართოს, გამოცდების პერიოდშიც გაიმართება, შეჯამდება და შეფასდება გამოცდების მიმდინარეობა და შედეგები.

პროგრამაზე „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ რეგისტრაცია დაიწყო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროგრამაზე „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ რეგისტრაცია დაიწყო. სპეციალური განცხადება ამის შესახებ ცენტრის დირექტორმა გია მამულაშვილმა გააკეთა.

27 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით, კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ ელექტრონულად დარეგისტრირდნენ ვებგვერდზე: www.mes.gov.ge ან www.tpdс.ge

პროგრამის მონაწილე პედაგოგები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის სკოლებში ქართულ ენას შეასწავლიან.

ისინი ადგილობრივ ოჯახებში იცხოვრებენ და რეგიონში, მინიმუმ, ერთი აკადემიურ წლის მანძილზე დარჩებიან. პროგრამაში ჩართვამდე ყველა მონაწილე პედაგოგის პრინციპში სპეციალურ მომზადებას გაიცვლის.

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენა და ფლობს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მინიმუმ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს. ბაკალავრის ხარისხის მქონე ახალგაზრდებს, პროგრამაში მონაწილეობისა და მაგისტრატურის გამოცდების წარმატებით დაძლევის შემდეგ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მაგისტრატურაში სწავლას სრულად დაუფინანსებს.

პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მიზანია, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის ფარგლებში, ხელი შეუწყოს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის პროცესს. პროგრამა 2011 წლიდან ხორციელდება და მასში რამდენიმე ასეული მოხალისე პედაგოგია ჩართული, რომლებიც ცხოვრობენ და წარმატებით ასწავლიან ქართულ ენას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ქართული ემიგრანტები

ჩვენ, კერძო სკოლა-ლიცეუმ „მნიშვნეპარტუხუცისის“ მოსწავლეები, უკვე 3 წელია, ვახორციელებთ პროექტს – „არდავინწყება მოყვრისა, აროდეს გვიხამს ზიანსა“, რომლის ფარგლებში ვეცნობით აზრს-ში მცხოვრებ მიორე თაობის ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებას, პროექტის ხელმძღვანელი – ქეთევან ქიქოძე

ირაკლი მენთეშაშვილი



დღეს გვინდა გაგაცნოთ მეორე თაობის ერთ-ერთი ემიგრანტის, სათვისტომოს ერთ-ერთი პრეზიდენტის, ირაკლი მენთეშაშვილის წერილები, რომელიც მოვიპოვეთ საქართველოში მცხოვრებ მის ოჯახის წევრებთან სტუმრობისას.

მისი ბიოგრაფიითა და წარსულით თავს არ შეგანყენოთ, ეს შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს საიტზე – www.emigrantebi.weebly.com

მეორე მსოფლიო ომის გამო სამშობლოსგან მოწყვეტილმა ირაკლი მენთეშაშვილმა სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეინარჩუნა ქართული სული. ამერიკელ შეილებს ქართულსაც კი ასწავლიდა, ხოლო ქართულ ოჯახთან მხოლოდ მანძილი აშორებდა. თავის მხრივ ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი გაეკეთებინა მათთვის. შეილებს სთხოვდა, ყველა პირობებისა და მიზეზებისთვის სათანადო ანგარიში გაენიათ და ღირსეულ მამად ეგულებინათ. თავის მეუღლე ვერას და შეილებს – ჯუმბერსა და ნათელას სთხოვდა წერილების ქართული მარკებით გაგზავნას, ამგებების დაწვრილებით აღწერას, რათა უფრო დიდხანს „ემიგრანტურა“ სამშობლოში.

განსაკუთრებით მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო წერილებზე, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ მამა-შვილური სიყვარულისთვის მანძილს არ აქვს მნიშვნელობა და როგორ არიგებს შორეული ამერიკიდან ბატონი ირაკლი შვილს მამავალი სპეციალობის არჩევის დროს.

ეს წერილი მან ჯარიდან დაბრუნებულ 23 წლის ჯუმბერს გაუგზავნა, რომელსაც მომზადება და უმაღლეს სასწავლებელში მოწყობა უნდოდა. ამაში კი, მამის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ბატონმა ირაკლიმ ვაჟი დაამშვიდა, აუხსნა, რომ სწავლა გვიანი არასოდესაა. ნებისმიერი ადამიანი, რამდენი წლისაც უნდა იყოს, ყოველ დღე რაღაც ახალს იგებს.

„მთავარია არა მარტო სურვილი, განზრახვა და დაგეგმვა, არამედ ნებისყოფა, წინააღმდეგობათა გადალახვა და განზრახულის ასრულება.“

არის შემთხვევები, როცა რამის ასრულებას წინ ელოდება, ამა თუ იმ პიროვნებისგან დამოუკიდებელი, გადაუღალავი დაბრკოლება. ასეთ შემთხვევაში, ესა თუ ის პირი ბედს უნდა დაემორჩილოს. თუ ვერ შეასრულა, მისი ბრალი არ არის და ვერც ვერაფერი ადარაზავს.

ჯუმბერის მიზნის აღსრულებაში კი ბატონი ირაკლი ვერ ხედავდა ისეთ დაბრკოლებას, რომლის გადალახვა შეუძლებელი იყო, რადგანაც მიაჩნდა, რომ ადამიანი უნიჭო ძალიან იშვიათად იბადება.

ბატონი ირაკლი სულ ცდილობდა საქართველოში და ამერიკაში მცხოვრებ და-ძმებს შორის ურთიერთობისა და სიყვარულის გაღვივებას და ამიტომ ცდილობდა რაღაც საერთო მოექებნა მათ შორის. ამის მაგალითია მისი სიტყვები:

„დარწმუნებული ვარ, შენ გაქვს სწავლისათვის საჭირო ნიჭი. როგორც ერთხელ მოგწერე, ჯერ კიდევ 3 წლის არ იყავი, ანბანი არ იცოდა, მაგრამ დედა-ენის წიგნს, სურათის მიხედ-

ვით მილიანად ამბობდი. ესევე, როგორც პატარა ეგნატემ (5.5 წლის) ჯერ ნოტები არ იცის, მაგრამ პიანინოზე ნოდარზე და თამარზე კარგად უკრავს (მიბაძვით), რომლებიც ნოტებით სწავლობენ.

საჭიროა ნიჭის სწორად გამოყენება, ამა თუ იმ პირის უნარისა და მისწრაფების მიხედვით. პირველ რიგში, უნდა შევარჩიოთ სპეციალობა, რა გსურს, რა გინტერესებს, რა გინდა რომ გამოხვიდე. მერე – „მათემატიკური საგნები მეძნელდება“-ო. საიდან იცი? რა ფაქტებიდან ასკენი?

შეიძლება ეს მართლაც ასეა. არიან პირნი, რომელთაც მათემატიკა არ ეხერხებათ. ამ შემთხვევაში ისეთი დარგი უნდა შევარჩიოთ, სადაც მათემატიკა ნაკლებად არის გამოყენებული. მაგრამ, სანამ ამას გადაწყვეტთ, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მათემატიკა მართლაც არ გეხერხება.

თუ საშუალო სკოლაში, მათემატიკურ საგნებში, მასწავლებელი ცუდ ნიშანს გიწერდა, ეს არაფერს ამტკიცებს. შეიძლება ზარმაცობდი. უმრავლეს შემთხვევაში, ნიჭიერი ხალხი მონათვეობაში ზარმაცია, სახლში არ მაცადინებო, შუმანისტურ საგნებს ნიჭით იხსომებს, რაც სკოლაში ესმის და ასე გააქვს თავი. მათემატიკურ საგნებს, მუშაობა ჭირდება, ვისაც მუშაობა ეზარება, ასეთ საგანს იძულებით ერიდება. როცა დასჭირდება, მოკლე ვადაში, თავს და ბოლოს ველარ უგებს. მერე ფიქრობს მას ეს საგანი არ ეხერხება.

შეიძლება სხვა რამ მიზეზით დასაწყისში მათემატიკის რაობა ვერ გაიგე? ძირი ვერ შეისწავლე თუ საფუძველი არ იცი, ანუ თუ არ გაქვს დასაყრდენი, შემდეგ საფუძვლებს ვერ ააშენებ. ამ საკითხში სწორი დასკვნა მხოლოდ შენ შეგიძლია გააკეთო. ყველაზე უკეთ შენ იცი შენი წარსული. ჩაიხედე ღრმად, მათემატიკის, ალგებრის, ტრიგონომეტრიის დაწყებიდან. ეგებ იპოვო რამე მიზეზი შენს ამ საგნებში სისუსტისა.

შეიძლება წერილი გამიგრძელდა მაგრამ ზემოთ მოყვანილი საჭიროდ მიმაჩნია. როგორც უკვე გითხარი, გადახედე წარსულს, დაინყე მათემატიკური საგნების შესწავლა თავიდან, რე ასე გაიგრძელა და ზურღლით უფროა შესხედავ. რასაც მალე აითვისებ მალევე დაგავიწყდება.

პირველ რიგში, მე გირჩევ ელექტრონის ინჟინრობას, არა ენერგეტიკულს, რომელიც მე დავამთავრე, არამედ ელექტრონულს, რომელიც ახალია, აქვს ყველაზე უკეთესი მომავალი. მეორე რიგში, გირჩევ არქიტექტორულს, ლამაზად სწერ და ცოტა ხატვის ნიჭიც გაქვს, კარგი არქიტექტორი იქნები.

სხვა დარგებიდან, პირველ რიგში, გირჩევ საექიმოს, მეორე რიგში – იურიდიულს.

როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, აღნიშნული არის მხოლოდ და მხოლოდ რჩევა, ძალას აქედან ვერაფერზე დაგატან და არც არის საჭირო. მთავარი გადაწყვეტი შენს მომავალზე შენ თვითონ ხარ. ერთს გთხოვ ძალიან, შენი თავი კარგად შეამოწმე ყველა მხრივ და შემდეგ გადაწყვიტე.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ შენც და ნათელაც ძალიან მოკრძალებით და ფრთხილად მომმართავთ. არა ერთხელ მითქვია, თქვენ ხართ ჩემი ლეიძლი შეილები და ვალდებული ვარ მოგხედოთ, მით უმეტეს ისეთ მომენტში, როდესაც შეილის მომავალი მოხებულხე და არის დამოკიდებული.

ძალიან გთხოვ მეტი სერიოზულობით მოჰკიდო ხელი მეცადინეობას. ეხლა გაჭირვება და მოკლება სჯობს, მერე სინანული. როგორც ზევით ვთქვი მარტო მასწავლებელი ვერას გიმშველის. მასწავლებელს უნდა ჰქონოთ ის, რასაც ვერ გაიგებ, რომ ავიხსნას და გაგიმარტოს, დანარჩენი შენზედ არის დამოკიდებული.

შენ ბედმა გარგუნა და იზრდებოდი ისეთი სვინდისიერი და პატიოსანი პიროვნების გვერდით, როგორიც ბაბუა სარდიონი იყო. ამა თუ იმ პირის მოქცევა იმასთანაა დაკავშირებული, თუ რა პირობებში აღიზარდა იგი. ტყუილის არ თქმა მეტად მნიშვნელოვანი და დადებითი ხარისხია. ეს არის ჩამომავლობის თანდაყოლილი თვისება ადამიანში, თუმცა მისი სწავლაც შესაძლებელია. სიმართლის აღიარება და მიღებული გაკეთილი, მომავალში შეცდომის გამოსწორება ადამიანის ღირსებას მაღლა სწევს. უშუალო ამპარტავნობა და სხვადასხვა ხრიკებით სუფთად გამოძირომის ძებნა, საბოლოო ჯამში, ასეთ პიროვნების ღირსებას ცემს.“

ამ წერილიდან გამომდინარე ბატონი ირაკ-

ლი იყო ღირსეული მამა, და ასევე არაჩვეულებრივი მზრუნველი შვილი, რაც მის სხვა წერილებში ამოვიკითხეთ. მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, მრავალი წლის უნახავი დედის გარდაცვალებამ იგი ძალიან შეანუხა. ბატონ ირაკლის დიდი იმედი ჰქონდა, რომ ცოცხალს ნახავდა მონატრებულ დედას, რომელიც თავის სითბოს ამერიკულ შვილიშვილებსაც გაუწვანებდა.

40 დღის თავზე, პანაშვიდი პარიზის ქართულ ეკლესიასა და ნიუ-იორკის ბერძნულ ეკლესიაში გადაუხადა.

1962 წელს დედის გარდაცვალებით დამწუხრებულ ირაკლი მენთეშაშვილს პატარა ირაკლი დაბადებდა აცნობეს, რომელშიც იგი ორმაგად გაახარა. ერთი ის, რომ გვარი გაგრძელდებოდა, მეორე, რომ მას შინდისა და კაკლის მურაბები აღარ მოაკლდებოდა და მის სუფრაზე განსაკუთრებულად გაკეთებულ საცეცხე საქართველოდან გამოგზავნილი სურნელები იქნებოდა.

ბატონი ირაკლის ამერიკელი ქალიშვილი თამარი სწერდა თავის ქართველ დედამიშვილებს – ნათელასა და ჯუმბერს, რომ მამის გადაწყვეტიდა და ჩავიკვებოთ, ქართული ოჯახი ბავშობიდანვე მათ გულში იყო. ამერიკაში ახლო ნათესავი არავინ ჰყავდათ. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ბევრჯერ უფიქრია და უნატრია თურმე მისი ქართველი და-ძმის გაცნობა და მათთან დაახლოება. ეს მისი დიდი ხნის მისწრაფვა და, რა თქმა უნდა, ბატონი ირაკლის ნატვრა ყოფილა.

თამარს საქართველოში ჩამოსვლამდე დედისთვის უთქვამს – „ერთი ან ორი კვირა დავრჩები, თუ არ მომეწონა, იქიდან იტალიაში, საფრანგეთში და ინგლისში წავალ და მერე ჩამოვალ“. ორი კვირა კი არა, ორი თვე არ იკმარა და შეგულება ერთი თვით გააგრძელებინა. თავის ამერიკელ და-ძმასაც – ნოდარს, ანტონიოსა და ქეთევანს – გაუჩინა საქართველოს მონახულების სურვილი.

თამარმა საქართველოში ყოფნისას ქართული კაბა და ჩიხტაპი კი შეიკვრა.

მინდა, ერთი ამონარიდი შემოგთავაზოთ ბატონი ირაკლის წერილიდან:

„როგორ არის ვერა? თამარამ ხომ არ დალაშქრდა და დაარწმუნე, რომ ცხოვრებაში იგი უფრო ბედნიერია, ვიდრე მე ვარ. მართალია ბევრი მწარე დღე გადაიტანა, მაგრამ ახლა ტკბილს ეგებება. მწარე დღეები არც მე მაკლდა, მაგრამ ტკბილს კი უთქვნივდ ვერასოდეს ვიგემებ.“

ირაკლი მენთეშაშვილი გარდაიცვალა ნიუ-იორკში 1982 წელს და იქვეა დაკრძალული.

ნიწო ზიწვიწაწი, XI კლასი აწი გორღელაწი, IX კლასი

ვალერიან ძამია



ვალერიან ძამიაშვილი (ძამია) დაიბადა და გაიზარდა თბილისში, სწავლობდა თბილისის მე-8 საჯარო სკოლაში, თუმცა სიცოცხლის გამო ბევრი სკოლის გამოცვლა მოუწია. ძალიან უყვარდა ოპერა, ამის გამო მას და მის მეგობრებს „ოპერის ბირჟავიკებს“ ეძახდნენ. მის თაობას ნაკლებად მოსწონდა სამხედრო სამსახური,

მაგრამ ვალიკო სკოლის დამთავრების შემდეგ სევასტოპოლში გაგზავნეს საზღვაო სასწავლებელში, მერე კი ომი დაიწყო.

1943 წელს ვალიკო ძამია ტყვედ ჩავარდა. ალბათ ტყვეობაში დაიღუპებოდა კიდევ, რომ არა მისი ამხანაგი ვახტანგ მირიანაშვილი, რომელმაც მოახერხა მისი საკონცენტრაციო ბანაკიდან გაყვანა. დიდხანს იმალებოდა ჩრდილოკავკასიულებთან, რომლებიც დასუსტებულ ვალიკოს უფლდნენ.

ომის შემდეგ იგი არა როგორც ტყვე, არამედ როგორც თავისუფალი ადამიანი გერმანიაში მოხვდა. სწორედ მაშინ იხანა მან სკოლაში გერმანული ენის არ სწავლა. გერმანიაში იყო ბანაკი, სადაც ყველა საბჭოთა მოქალაქეს თავს უყრიდნენ, აწყობდნენ საჩვენებელ სასამართლოებს, ტყვეს შეკითხვას უსვამდნენ და პასუხსაც თვითონვე იძლეოდნენ, შემდეგ იქვე გამოჰქონდათ განაჩენი და საბოლოოდ ხვრეტდნენ.

ვალიკოს სამშობლოში დაბრუნება ძალიან უნდოდა. მას ერთი რუსი მეგობარი დუხანინი ჰყავდა, მისთვის რომ გაუმხელია საქართველოში დაბრუნების სურვილი, პასუხად მიიღო, რომ საბჭოთა კავშირში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა დაბრუნება, ამის გამო ვალიკო დაძრული მანქანიდან გადმოშტარა და გერმანიაში დარჩენილა. იმავე მანქანაში იმყოფებოდა შოთა შოთაძე, რომელმაც, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ვალერიან ძამიას ოჯახს მის შესახებ ინფორმაცია მიანოდა.

მიუხედავად რადიოში მუშაობა, ტექნიკურ განყოფილებაში, ხანდახან გადაცემებიც მიჰყავდა. არ უნდოდა გერმანიიდან წასვლა, მაგრამ მისმა პირველმა მეუღლემ დაიფინა და 1956 წელს შტატებში გაფრინდა. ნიუ-იორკში დასახლდა და მას შემდეგ იქ ცხოვრობდა. ჯერ დურგლობდა, მერე ხაზვის ნიჭი აღმოაჩნდა, შეისწავლა გათბობა-გაგრილების სისტემა, შემდეგ კი სამსახურშიც მოეწყო. ძალაუბნებურად გვარის შემოკლება მოუწია. ძამიაშვილი „შვილი“ მოხსნა, რადგან ამერიკელებს მისი გვარის წარმოთქმა და წერა ძალიან უჭირდათ.

ერთი წუთიც არ ყოფილა, რომ მას თავის ქვეყანაზე არ ეფიქრა, კითხულობდა ქართულ წიგნებს, მაგალითად, ისეთ მარგალიტებს როგორიცაა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცება“, ასევე მიხედავდა ვახუშტის რომანებსა და მოთხრობებს. სწორედ ამ წიგნების წყალობით მის ცხოვრებაში მოვიდა საქართველო, ქართული ენა, ქართული მინი, ქართული სიმღერა და ქართული სიყვარული.

უკანასკნელად, 53-წლიანი განშორების შემდეგ, 1994 წელს, ვალიკო საქართველოში ჩამოვიდა.

მისმა სამშობლოსადმი მიძღვნილმა სიტყვებმა ჩვენზე დიდი ზემოქმედება მოახდინა: „პასპორტში და ანკეტაში ჩანერილი უტყუარი ცნობების გარდა, არსებობს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი საქართველოსადმი კუთვნილებისა – სამშობლოს სიყვარული, მასთან განშორების ათეულ წლებში გამორტარებული და ცხრა მთას იქით სათუთად შენახული სიყვარულის გრძობა“.

კითხვაზე – არის თუ არა ბევრი ქართველი შეერთებულ შტატებში, მისი პასუხი ასეთია: „ათასზე მეტი კაცია, ზუსტად ვიცი, სიები მაქვს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ათასი კაცი დათითოებულია, შეკრული არ არის, ბევრიც იმალება“.

ბატონმა ვალერიან ძამიამ შეინახა და შეინარჩუნა ქართველობა. იგი 42 წელი ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და გულით დაატარებდა პატარა ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია.

უკანასკნელ წლებში ძალიან ბედნიერი იყო, ჰყავდა ქართველი ცოლი, ქალბატონი მზია, რომელიც პირველად ქართულ სათვისტომოში გაიცნო, მის სახლში ასე მონატრებული ქართული საუბარი ისმოდა.

ვალერიან ძამია 2013 წლის 18 მარტს, ნიუ-იორკის წმ. ლუკას ჰოსპიტალში გარდაიცვალა. 14 აპრილს მას 92 წელი შეუსრულდებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბატონი ვალერიანის უშუალო მონაწილეობით 90-იან წლებში რამდენჯერმე დიდი რაოდენობით უმანიტარული დახმარება გამოიგზავნა საქართველოში. იგი არაერთხელ დახმარებია ქართველებს სამეცნიერო-დოკუმენტური ფონდების შექმნაში, გამოფენის მოწყობასა თუ სხვა მრავალი ღონისძიების ორგანიზებაში.

სალომე ბურჭინაძე, თათია ჩაჩავა XI კლასი

# სამეცნიერო აკოლოგიური ზეიმი

სამი თვეა მიმდინარეობს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის - „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი, „დამაბინძურებელი ნივთიერებების განსაზღვრა გარემოს ობიექტებში“. დასკვნითი ეტაპის პრეზენტაცია მიმდინარე წლის 17 მაისს თბილისის 133-ე საჯარო სკოლაში გაიმართა.

კონკურსის მიზანი იყო სკოლის მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, დაინტერესება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, განათლებისა და კვლევების დაახლოება, სკოლის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა.

უჩვეულო, ხმაურიანი ფუსფუსი სუფევდა, დაახლოებით ისეთი, განსაკუთრებით საპატიო სტუმრის მოლოდინში ოჯახის წევრებს რომ დაეუფლებათ ხოლმე. სკოლას სტუმრად ეწვია პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ბატონი ნოდარ კეკელიძე რამდენიმე თანამშრომელთან ერთად. მათ უნდა შეეფასებინათ პროექტში ჩართული X-XI კლასების მოსწავლეების: მარის, სალომეს, ბესოს, გიორგის, რუსუდანის, ზვიადის, ნიკას და სხვათა პირველი ნაბიჯები მეცნიერებისკენ.

ამ კვლევებს წინ უძღოდა საინტერესო სასწავლო-საველე ექსპედიცია და შესაბამისი შრომა, რომელსაც პროექტის ხელმძღვანელი და სკოლის საამაყო პედაგოგი ლია სულიკაშვილი ხელმძღვანელობდა. საველე ექსპედიცია ჩატარდა მდინარე მტკვარზე, წყალ-

სა და ნიადაგში დამაბინძურებელი ნივთიერებების შესასწავლად. საკონტროლო პუნქტებად შერჩეული იყო ზაჰესი, თბილისი და რუსთავი. მოსწავლეები ატარებდნენ წყლისა და ნიადაგის სინჯების კვლევებს უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, რაც განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იყო მათთვის. შაბათი და კვირა ზოგჯერ „საკმარისი“ არ იყო. სანაცვლოდ ჩვენმა მოსწავლეებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს და, რაც ყველაზე მთავარია, ქიმიისა და ზოგადად საბუნებისმეტყველო საგნებისადმი მეტი დაინტერესება, შეიძინეს მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, რომელზე ოცნება სულ ცოტა ხნის წინ შეუძლებელი იყო.

სკოლას ერთი წელია ახალი დირექტორი ჰყავს - ქალბატონი ლია ფუტყარაძე. მან პროექტის ხელშეწყობა და დახმარება პირად კონტროლზე აიყვანა. თავადაც მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდა სასწავლო-საველე ექსპედიციებში. მიზნად დაისახა, რომ დასკვნითი ეტაპისთვის სააქტო დარბაზი მზად უნდა ყოფილიყო, ამიტომ ბავშვები ორ პრეზენტაციას ელოდნენ - ახალი სააქტო დარბაზი და კვლევების დასკვნითი ეტაპი.

კვლევების შედეგების პრეზენტაციამ დიდი ნარმატებით ჩაიარა. ახალმა დირექტორმა სიტყვა შეასრულა - ამ დონის პრეზენტაციას სწორედ ასეთი დარბაზი ეკადრებოდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პატარა მკვლევარები: მარი კაჭარავა, სალომე კაჭარავა, ბესო ქათამაძე, სალომე ბლიაძე...

წარმოდგინდა იქნა ნაშრომები: „მტკვარი - საქართველოს დედა მდინარე“, „ნიადაგის დაბინძურება“, „დამაბინძურებელი ნივთიერებების განსაზღვრა გარემოს ობიექტებში“

და სხვ. პრეზენტაციის შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ მოსწავლეები:

**მარიამ კაჭარავა, XI კლასის მოსწავლე:** „ბედნიერი ვარ, რომ ქიმიისადმი სიყვარული და ინტერესი გამიღვივებ, ღია მასწავლებელი, რომ სახელოვან მეცნიერებთან ერთად ვიმუშავე. მადლობას იმით გადაგიხდით, რომ მეც თქვენსავით ქიმიკოსი გავხდები და ვიქნები თქვენი საქმის გამგრძელებელი“.

**სალომე გვეხიძე, VIII კლასის მოსწავლე:** პროექტის ყველაზე უმცროსი მონაწილე: „მადლობა ღია მასწავლებელს, რომ მომცა საშუალება მონაწილეობა მიმელო კვლევებში, მე მიყვარს ქიმია!“

**გიორგი თორღუა, IX კლასის მოსწავლე:** „სხვა ინტერესით და სხვა შემართებით დავინყე ცხოვრება მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტთან თანამშრომლობა დავიწყეთ. ჩემთვის დიდი პატივი იყო, როცა უნივერსიტეტში ჩავივტარეს ლექცია. უფრო დიდი პატივია, როცა აქ გვესტუმრნენ ასეთი საპატიო ადამიანები. ჩვენი კვლევები ცხადყოფს, რომ უფრო კარგად უნდა შევისწავლოთ ქიმია და უფრო მეტად გავუფრთხილოთ გარემოს“.

**მეგი ნეფარიძე, IX კლასის მოსწავლე:** „არასოდეს დამაინყევებდა უნივერსიტეტში გატარებული დღეები. ახლა ყველა ჩემი კლასელი ქიმიას სწავლობს, მათ შორის ისეთებიც, ადრე საერთოდ რომ არ აინტერესებდათ. დღეს აქ ხართ. თავი სიზმარში მგონია, დიდი მადლობა, რომ ჩვენთვის მოიცალეთ“.

ასეთი გულწრფელი გამოსვლების შემდეგ გულგრილი ვერავინ დარჩებოდა.

ბატონმა ნოდარ კეკელიძემ მომხსენებელი მოსწავლეების - სალომე ბლიაძის, ბესო

ქათამაძის, სალომე კაჭარავას ნაშრომები ქიმიური ფაკულტეტის ბაკალავრიატის დონეს შეადარა. რა თქმა უნდა, ეს გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ სტიმულის მომცემი და საამაყოა.

სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ბატონ ნოდარს 133-ე საჯარო სკოლის **საპატიო მეგობრის სტატუსი** მიენიჭა, რისი დამადასტურებელი დიპლომიც საზეიმო ვითარებაში გადაეცემა. დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ პროექტში მონაწილე მოსწავლეები, აგრეთვე, ქალბატონი ლია სულიკაშვილი - ამ ღონისძიების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი, რომლის დაუღალავმა შრომამ და მოსწავლეებისადმი სიყვარულმა არაერთხელ მოუტანა სკოლას აღიარება და ავტორიტეტი.

დღეს, როცა ასე პრიორიტეტულია საბუნებისმეტყველო საგნებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, ვთვლით, რომ ნამდვილად სასიკეთო საქმეს შევეჭიდეთ. წინ უამრავი საინტერესო პროექტი გველის, რუსთაველის ფონდი მალე ახალ კონკურსს გამოაცხადებს, რა თქმა უნდა, ველოდებით და აუცილებლად ჩავერთვებით.

მადლობა პროექტის ყველა მონაწილეს. უზომოა ჩვენი სიხარული და გვიანდა ეს ჩვენმა მეგობრებმაც გაიზიარონ. სწორედ ამიტომ გვინდოდა ჩვენ შესახებ თქვენც გაგეგოთ.

ციცო ჭაუასელი  
133-ე საჯარო სკოლის  
დირექტორის მოადგილე

# „რვენი ნიბნი, რვენი დედა, რვენი ენა ქართული“



გომბორი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უღამაზესი სოფელია. ამ მრავალფეროვან დასახლებაში, თითქმის ორი საუკუნეა, კეთილმზობილურად ცხოვრობენ ქართველები, აზერბაიჯანელები, რუსები. ეროვნულობის ნიადაგზე შუღლი აქ არასდროს მომხდარა. ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ითავისებენ.

ყველა გომბორელი ბავშვი სწავლა-განათლებას სოფლის საჯარო სკოლაში (დირექტორი - ზაზა ხიზანიშვილი) ქართულ ენაზე იღებს.

წლეულს, მაისის ბოლოს, ერთი ძალიან ლამაზი საღამო გამართეს გომბორის სკოლის პირველკლასელებმა და მათმა პედაგოგმა მარენ დიდუბაშვილმა. ღონისძიება „დედაენა“-სთან გამომშვიდობებას მიეძღვნა. თექვსმეტი პირველკლასეულიდან ათი აზერბაიჯანელია, ექვსი - ქართველი.

ანბანის ზეიმზე პატარებმა ოცდაცამეტივე ასო-ბგერას ლექსები მიუძღვნეს, განასახიერეს ქართული ხალხური ზღაპრების გმირები.

მასწავლებელს პირველკლასელთათვის უკვე შეუყვარებია ქართველი კლასიკოსები: ვაჟა, ილია, აკაკი... პატარებმა წარმოადგინეს ინსცენირებები ვაჟას პოემებიდან. უკვე ერკვევიან, თუ „ვინ არის კაი ყმა“... შეასრულეს ქართული ცეკვები - „ქართული“ და „აჭარული“, იმდერეს საბავშვო სიმღერები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შოთას აფორიზმების სწორად გამოთქმაში, პატრიოტული ლექსების ომხიანად ნაკითხვაში. კითხულობდნენ გიორგი ლეონიძის ლექსს „დედაენას“ და პატარა მკერდზე იხუტებდნენ უძვირფასეს წიგნს.

„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული, ვარდნაბანი ფურცელი ჩვენს ყრმობაში ჩართული!“ სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა უდიდესი შრომა ჩადო,



რომ აზერბაიჯანელი ბავშვებისათვის არა მარტო ქართული წერა-კითხვა ესწავლებინა, უფრო მეტიც - სწორად მეტყველება. პედაგოგი სითბოსა და ალერსს არ აკლებდა პატარებს.

ღონისძიებაზე უამრავი სტუმარი იყო: პირველკლასელთა მშობლები, და-ძმები, პედაგოგები, უფროსკლასელები...

აზერბაიჯანელი ბავშვების მშობლებმა მადლობა გადაუხადეს მარენ ხი მასწავლებელს მათი შვილების სწავლა-აღზრდაზე განუყოფელი შრომისათვის და ითხოვეს: „ეგებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესვეურებს მივანვძინოთ ხმა, რომ ასეთ პედაგოგებს, რომელთაც კლასში სხვადასხვა ეროვნების ბავშვები ჰყავთ, ხელფასზე დანამატი მისცენ. ეს პედაგოგი მარტო ქართულად წერა-კითხვას კი არ ასწავლის ჩვენს შვილებს, არამედ ქართულად სწორად მეტყველებასაც და ვგრძნობთ, რომ მისი მუშაობა, სხვებთან შედარებით, რთულია“.

ამ დღეს დაუკავშირდა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა - გომბორის საჯარო სკოლა იკურთხა.

ლელია არჩემაშვილი

სასკოლო ღონისძიება

მიძღვნა ალექსანდრე ყაზბეგის იუბილს

16 მაისს, თბილისის N219 საჯარო სკოლაში (დირექტორი - შალვა ხუციშვილი) XI კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს ლიტერატურული საღამო, რომელიც მიძღვნა მწერლისა და ბელეტრისტის, ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებიდან 120 წლის იუბილს - წარმოადგინეს მწერლის ბიოგრაფია, ლექსები, ინსცენირებები „ხევისბერი გოჩადან“.

სალამო საინტერესოდ მიჰყავდა XI კლასის მოსწავლეს ნანა ბიჭაშვილს. ბიოგრაფიულ ცნობებს ენაცვლებოდა პატრიოტული სიმღერები, მწერლის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსები, ინსცენირებები. დარბაზში ხანგრძლივად ისმოდა აპლოდისმენტები. ღონისძიება დაამთავრეს ბექა გოგოლაძის, ანა ბიჭაშვილის, გივი გავაშელიშვილის, თორნიკე ზაქაიძის, ლაშა ადიკაშვილის, თამარ ზვიდაურისა და გიორგი ჯაბიშვილის მიერ წარმოდგენილმა

ინსცენირებებმა. ბექა გოგოლაძემ გუგუას როლი შეასრულა, გივი გავაშელიშვილმა - ხევისბერი გოჩა, თორნიკე ზაქაიძემ - ონისე, თამარ ზვიდაურმა - ხაზუა, გიორგი ჯაბიშვილი და ლაშა ადიკაშვილი ხევისბერის მსაჯულეები იყვნენ. განსაცვიფრებელი იყო ანა ბიჭაშვილი ძიძიას როლში, გუგუასა და ძიძიას კამათმა ტყეში მაყურებელი განაცვიფრა, ისეთ მაღალ დონეზე შეასრულეს ეს ეპიზოდი ნაწარმოებიდან. ოვაციებსა

და აპლოდისმენტებს დასასრული არ ჰქონდა. გივი გავაშელიშვილის ხევისბერი გოჩა ისე დასტიროდა შვილს, რომ მაყურებელი ცრემლს ვერ იკავებდა და სცენა ბუნებრივი გეგონებოდათ. მეთერთმეტეკლასელებისთვის სცენაზე გამოსვლა და მსახიობის ამბულა უცხო არ არის, ნოემბერში ასევე ბუნებრივად გააცოცხლეს ილიას იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ოთარაანთ ქვრივის, გიორგის, გაბრიელისა და დათიკოს სახეები.

ღონისძიების ბოლოს დირექტორმა, ბატონმა შალვა ხუციშვილმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს ასეთი მასშტაბური, საინტერესო და ლამაზი სანახაობის წარმოდგენისათვის. სასწავლო წლის დამთავრებისთანავე XI კლასი ყაზბეგში მიდის ექსკურსიაზე.

მარიამ პატრიკაშვილი XI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



გალაკტიონის სახლ-მუზეუმში სტუმრობა

22 მაისს ნორჩი გალაკტიონოლოგები, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით, მუზეუმების მსოფლიო კვირეულში მონაწილეობდნენ. 190-ე სკოლა წლების განმავლობაში თანამშრომლობს დიდი პოეტის - გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმთან, რომელიც თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარეობს. ამჯერად მოსწავლეები შეხვდნენ საზოგადოების გამორჩენილ წარმომადგენლებს: პოეტსა და გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარს, ვახტანგ ჯავახიძეს, ლეგენდარულ ნოდარ ტაბიძეს, პოეტ ქალს - ლია სტურუას, მწერალსა და კრიტიკოსს - რევაზ მიშველაძეს, ჟურნალისტსა და კრიტიკოსს - სოსო ჭუმბურიძეს. გალაკტიონოლოგებმა მოისმინეს მეტად საინტერესო შემეცნებითი საუბრები, რაც გავლენას ახდენს მათ ესთეტიკურ შეხედულებებსა და ადამიანურ ღირებულებებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ მხრივ, მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ ნატო შენგელიას ღვაწლი - კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის, ზრუნვის, მოვლა-პატრონობის, მფარველობისა და სიამაყის განცდის ჩანერგვა-განვითარება ახალ თაობაში, ცხადია,



უდიდესი ვალია კაცისა. მუზეუმის შესწავრთ გათავისებულ აქვთ ახალგაზრდობის საფიქრალი, ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის მიმდინარეობაში მათი მონაწილეობა ქვეყანას ხსნის იმედს უნერგავს. მადლობა მათ ამ ღირსეული საქმიანობისათვის.

ქატიკანა ჭილიძე 190-ე სკოლის ინოვაციური ცენტრის ხელმძღვანელი



ქართული - ჩემი მეორე ენა

სახელმწიფო პროექტის „ქართული, როგორც მეორე ენა“ ფარგლებში (კოორდინატორი - მაკო ქილაშვილი) ყოველ წელს ერთი დღე ვსტუმრობთ ნინოწმინდის ქართულ სკოლას (დირექტორი - ლელა ხითარაშვილი).

ქართული ენის კლუბის წევრები ესწრებიან ყველა საგნის გაკვეთილს კლასების მიხედვით და ჩართულები არიან გაკვეთილების მსვლელობაში. მეცადინეობის შემდეგ კი ვატარებთ მხატვრულ ღონისძიებას. ტრადიციას არც წელს ვუღალატეთ. გაკვეთილების შემდეგ ჩავატარეთ ლიტერატურულ-მუსიკალური ღონისძიება „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ“. მოსწავლეებმა ნაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები, ქართველოლოგთა გამონათქვამები ქართული ენის შესახებ, იმღერეს ქართულად, იცეკვეს.

ამავე დღეს, შევხვდით ნინოწმინდის „ქართული ენის სახლის“ ხელმძღვანელს ელმირა ქსპოიანს. ქართულ ენაზე დიალოგის ფორმატი წარმართულმა შეხვედრამ კმაყოფილი დატოვა მოსწავლეები და გაუჩინა სურვილი, ისე კარგად ისწავლონ ქართული, როგორც ელმირა ქსპოიანმა იცის.

გადავწყვიტეთ, შეხვედრების დრო გავზარდოთ. ცნობილია რომ ბავშვების გარემოში ყოფნას, ერთმანეთის დახმარებას, ერთმანეთთან ინტეგრაციას უფრო მეტი შედეგის მოტანა შეუძლია, ვიდრე მასწავლებლის ან მშობლის დახმარებას. თანაც, ასეთი ურთიერთობები ხელს უწყობს გაკვეთილზე შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, ლექსიკის გამდიდრებას და კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

სარძის ღურბარაინი ნინოწმინდის რაიონის განძის შოთა რუსთაველის სახელობის №2 საჯარო სკოლის დირექტორი, ნანა პარჯაძე-მისხანაშვილი „ქართული, როგორც მეორე ენის“ პედაგოგი



სპორტი

# ბალათასარაი და „მარადონა“ სამედიცინოში



სამედიცინო უნივერსიტეტი აგრძელებს ტრადიციას და კვლავ ჩაატარა შეჯიბრება მინი-ფეხბურთში უცხოელებს შორის. თუ გახსოვთ, მსგავსი ტურნირი ზამთარშიც გაიმართა და ამაზე ვწერდით კიდევ. მაშინ ფინალში ნიგერიისა და თურქეთის გუნდები გავიდნენ, ჩემპიონობა კი აფრიკელებმა მოიპოვეს.

ახლანდელი ტურნირიც უნივერსიტეტის თვითმმართველობისა და სპორტისა და ხელოვნების ცენტრის მონაწილეობით გაიმართა, ინიციატორი და შეჯიბრების მთავარი მსაჯი კვლავაც ვახტანგ ბაქანიძე იყო. შეჯიბრებაში ამჯერად 12 გუნდი მონაწილეობდა და ლამის ადრინდელი შედეგით დასრულდა – ფინალში ისევ იგივე გუნდები გავიდნენ, ოღონდ ამჯერად თურქებმა რევანში აიღეს. ახლანდელ ტურნირში ორივე ქვეყანა ორ-ორი გუნდით გავიდა, რომლებსაც სხვებმა – ინდოელებმა, პაკისტანელებმა და დანარჩენებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ამიტომ ორივე ნახევარფინალური წყვილი ნიგერიულ-თურქული გამოდგა. ამათგან პირველ შეხვედრაში თურქულმა „გალათასარაიმ“ შედარებით იოლად დაამარცხა აფრიკელები, მეორეში კი „თუბერ-63“-სა და ნიგერიულ „რეის“-ს შორის დაძაბული პაექრობა გაჩაღდა. აქ თავიდან თურქები დანაშაურობდნენ, მაგრამ პირველი ტა-

იმის შუანელში კრის ეზემ მართლაც ლამაზი სოლო-რეიდით ანგარიში გაათანაბრა – მთელი გუნდი მოატყუა და მეტად ეფექტური გოლი გაიტანა. ამის შემდეგ მთელი თამაში ორმხრივი შეტევებით გაგრძელდა, თითქოს უფრო რეალური მომენტები აფრიკელებს ჰქონდათ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაიტანა და შეხვედრაც ფრედ დასრულდა. პენალტების სერიამი ნამდვილად იყოჩაღა თურქთა მეკარემ – კადარ უფუკ აქქანიმ, რომელმაც მანამდეც რამდენჯერმე იხსნა თანაგუნდელები გოლისგან. თუმცა, რაც საპენალთო სერიაში გააკეთა, ნამდვილი გმირობაა – 4-დან 3 დარტყმა მოიგერია, ერთი კი ძელმა აისხლიტა. ცუდად შესრულებულ დარტყმებში ნიგერიელებს დიდად არც თურქები ჩამორჩნენ, თუმცა მათ ორი მინც გაიტანეს და ნახევარფინალიც ამ ანგარიშით მოიგეს – 2:0.

თანამემამულეობის მიუხედავად, ფინალური შეხვედრაც დაძაბული გამოდგა, თუმცა თავიდან „გალათასარაი“ იმეულა უპირატესობას არ ფლობდა, როგორც ანგარიშითაც შეხვედრა მოიგო – 3:0. მეტიც – თავიდან თანაბარი თამაში იყო, რაც პირველი ტაიმის შუანელამდე გაგრძელდა, მერე კი გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა. ჯერ „თუბერის“ ფეხბურთელებმა მიიტანეს მასირებული იერიში და ზედზედ სამჯერ სახი-

ფათოდ დაარტყეს, თუმცა უშედეგოდ. ამას უკვე „ლომთა ლომის“ („გალათასარაის“ მეტსახელია) ინიციატივა მოჰყვა, როცა ასევე რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს, თუმცა გატანა ვერც მათ შეძლეს. ამაში ლომის წილი ისევ მეკარე აქქანის მიუძღვის, რომელიც კვლავაც მონოდების სიმალეზე იყო. ის-ის იყო, თამაში შედარებით ჩანყნარდა და მოედნის ცენტრში გადაინაცვლა, როცა „გალას“ ფეხბურთელებმა რამდენიმესკვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და ერჰან ჩეთინი, მეტსახელად მარადონა, რომელსაც მანამდეც რამდენჯერმე მართებდა გატანა, მეკარესთან ლამის პირისპირ დატოვეს. „მარადონას“ ამჯერად გატანა არ გასჭირვებია, რასაც მეორე ტაიმში სამეტ თევეგიუსმა კიდევ ორი გოლი დაუმატა და „გალამ“ 3:0 მოიგო. მესამე ადგილი ნიგერიელებს ერგო. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ჩეთინი დაასახელეს, საუკეთესო მეკარედ – აქქანი, მცველად – კრის ეზე, ხოლო ბომბარდირი ასევე თურქი ფოლგა შაჰინ-ოღლუ გახდა.

უახლოეს მომავალში სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა კვლავ გეგმავს ანალოგიურ ტურნირს, ოღონდ უკვე ქართველი სტუდენტების მონაწილეობითაც.

დავით დიდავაშვილის ფოტოები

## საქართველო ელიტ-რაუნდის ლიდერია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები წარმატებით ჩაება ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში, რომელსაც ბელგია მასპინძლობს – ორი ტურის შემდეგ ქვეჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია.

პირველ შეხვედრაში ჩვენებს მეტოქედ ქვეჯგუფის ფავორიტი – ინგლისი ჰყავდათ, რომელთან შეხვედრაც წარმოუდგენლად სასიამოვნო სცენარით დაიწყო – უკვე მე-7 წუთზე ბრიტანელთა მეკარე უხეშობისთვის გააძევეს და მეტოქემ ლამის მთელი შეხვედრა კაცნაკლულმა ჩაატარა. მომხდარით ჩვენებმა მყისვე ისარგებლეს და გაძევებიდან ერთ წუთში გიორგი ფანცულაიამ საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა. ინგლისი რისი ფავორიტი იქნებოდა, ამას შეეკრთო და მწვავე შეტევებზე ხელი არ აუღიათ, რამაც 38-ე წუთზე შედეგიც გამოიღო – 1:1. ორმხრივი იერიშები არც ამის შემდეგ შეჩერებულა, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა. პარალელურად, მიმდინარე შეხვედრაში მასპინძელმა ბელგიელებმა 2-ბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და შოტლანდიელებმა ჩვენზე არანაკლებ სენსაციურ ფრეს გამოჰკრეს ხელი.

მეორე ტურში ჩვენები სწორედ შოტლანდიელებს ხვდებოდნენ და ბევრისთვის მოულოდნელად, 3:1 სძლიეს. ანგარიში მით უფრო გასაკვირია, რომ ჩვენებმა მოგება 9-კაციან-

ნი გუნდით შეძლეს – ესპანელმა არბიტრმა კარლოს დე სერომ პირველ ტაიმში მეკლუდ მთივლიშვილი, მეორეში კი ბაჩანა არაბული გაგვიძევა... საინტერესოა, რომ არაბულის გაძევებისთვის პენალტიც დანიშნა – აქაოდა, საჯარიმოში ხელით ითამაშაო, თუმცა პენალტი შოტლანდიელებსაც კი გაუუკვირდათ და რაც მთავარია – გოლის გატანა მათ ჩინებულად მოთამაშე მეკარე გაბრიელ თებიძემ არ დაანება.

მთივლიშვილის გაგდებაამდე ჩვენები ნიკა კაჭარავას მიერ 29-ე წუთზე გატანილი გოლით 1:0 იგებდნენ, არაბულის გაძევების შემდეგ კი ბუდუ ზივზიძემ და ავთანდილ ენდელაძემ კიდევ ორი გაიტანეს, რასაც სქოთებმა შეხვედრის მიწურულს პრესტიჟის ერთადერთი გოლით უპასუხეს.

ალსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ჩვენებურთა მთავარმა მწვრთნელმა გია ცეცაძემ, ერთი შეხედვით, თამაში ექსპერიმენტი ჩაატარა – ინგლისელებთან გატანილი გოლის ავტორი ფანცულაია ზემოაღნიშნული კაჭარავათი შეცვალა. ვერ გეტყვით, რა იყო მისი ამ გადაწყვეტილების მიზეზი, მაგრამ ცვლილებამ გაამართლა.

მოგება კარგია, მაგრამ ორი წამყვანი ფეხბურთელის გაძევებამ, რის გამოც ისინი ბელგიელებთან შეხვედრას გამოტოვებენ, ცეცაძე პირდაპირ გააცოფა. „დღეს დავგზავრეს. ის,

რაც ესპანელმა მსაჯმა გააკეთა, არამზადობა და შეგნებულად გუნდის დაძირვის მცდელობა“ – განაცხადა მატჩის შემდეგ გულმოსულმა ქართველმა მწვრთნელმა, თან საქმეში უეფა-ს ჩართვა და წითელი ბარათების გაუქმება მოითხოვა.

სამართლედ გითხრათ, ნაკლებად გვჯერა, რომ მის მოთხოვნას დააკმაყოფილებენ, როდენ სამართლიანად უნდა იყოს. ალბათ, საქართველოს ნაკრებს ბელგიელებთან ფინალის ტოლ-სწორ თამაშში წარმატების მოპოვება ლიდერთა გარეშე მოუწევს, რაც, მანამდე გაკეთებულიდან გამომდინარე, ფიქტობით, სულაც არაა გამორიცხული.

დღესდღეობით ჩვენი ნაკრები 4 ქულით ქვეჯგუფის ლიდერია, რადგან ინგლისელებმა ბელგიელებთანაც ფრედ ითამაშეს და 2-2 ქულა აქვთ. მათთან ერთად ჯგუფიდან გასვლის შანსს შოტლანდიელებიც ინარჩუნებენ, რასაც ბოლო მატჩში მეზობელ ინგლისელებთან შეეცდებიან. ჩვენებს ბელგიელებთან ფრეც ჰყოფნით, ფინალურ ეტაპზე კი ქვეჯგუფიდან ერთი გუნდი გადის.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე



ნიენის  
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



კლასიკური შოეზია



საბი  
ტომის  
ფასი  
15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი  
ცალის  
ფასი  
6.5 ლარი

1. ცისფერი ბაღვინები - დეზა
2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყობსა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლუხ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უკლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საპირაო განხილვა, ბრან-შატის კუნძულზე - უორშ სიორა

თემატური კლასიკები  
დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პრეფიქსები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი  
ცალის  
ფასი  
2.5 ლარი

თემატური  
კლასიკები მატალი  
კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრებები
6. ძვეწარმავლები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიდაბი - სიტყვების წყარო
11. ქველი რეზი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძიშიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ძართული მეორის შვიარაღება და საბრძოლო ტემიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი  
ცალის  
ფასი  
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- |                          |                          |                        |
|--------------------------|--------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი    | 10. იოსებ გრიგაშვილი     | 19. აკაკი წერეთელი     |
| 2. გიორგი ლეონიძე        | 11. პულიკარე ქაპაბაძე    | 20. რუსთაველი          |
| 3. ირაკლი აბაშიძე        | 12. გურამ რჩეულიშვილი    | 21. თეიმურაზ I         |
| 4. ნოდარ დუმბაძე         | 13. იაკობ ხუცესი         | 22. ვახტანგ VI         |
| 5. მირზა გელოვანი        | 14. იონა საბანიძე        | 23. გიორგი მერჯული     |
| 6. აკაკი ბაძრაძე         | 15. დავით გურამიშვილი    | 24. გრიგოლ ორბელიანი   |
| 7. ვასილ ბარნოვი         | 16. პესიკი               | 25. დავით აღმაშენებელი |
| 8. პაოლო იაშვილი         | 17. რევაზ ინანიშვილი     | 26. გურამ ასათიანი     |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე შავშავაძე | 27. გრიგოლ როგაძიძე    |

ერთი  
ცალის  
ფასი  
4 ლარი

„ასოფლიო ლიტერატურის ქლასიკოსები“


მიმდინარეობს ხელმონერა. შემოგვიერთდით!



- ალბარტო მორავია - მოწყენილობა
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- ბილპარტ კ. ჩისტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
- მარგარეტ ღიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- ჯონ გოლსუორთი - რჩული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბარბინი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ძალთა გადნეობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვლარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდიერ ჰაბარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულიერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოლერლე დე ლაკლო - საზიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლიტანებანი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩული მოთხრობები
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე  
~~11 ლარი~~  
9 ლარი




„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“  
თამარ ბეროზავილი  
10 ლარი

გამოცემლობა „ლიბანესა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია  
~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია  
~~30~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია  
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული  
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი  
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომეული ერთი ტომის ფასი ნაკვალად 11 ლარისა 9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლაფიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ქველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ქველი რუმბი
- ❖ ქველი საბარძეთი
- ❖ საშურაბი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსენილი და აუხსენილი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ძალაძეები
- ❖ ძივები
- ❖ მეგობრები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა

ქართული მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი - 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომეული), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანუაშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ ავაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმონერის თანხა გადმორისხეთ რეკვიზიტებზე:  
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმონერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3  
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge  
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735  
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >